

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



9 აპრილმა საქართველოს
თავისუფლება და
დამოუკიდებლობა განსაზღვრა

საქართველოს



უნივერსიტეტი

17

აპრილი, ხუთშაბათი, 2008 წ. №5 (2072)

ფასი 30 თეთრი

ემუძრება თუ არა საფრთხე ქართული ენის სინამდის?



არავინ იცის ქართველზე მეტად მშობლიური ენის ფასი და ძალა, ის რაც თაობებს საუკუნეების მანძილზე თოთო ბავშვივით ნაფერები და ნაპატიები ჰქონდა. მშობლიური ენის განცდა და სიყვარული ყოველი ქართველისათვის შექმნილი კი არა, თითქმის ბიოლოგიური აგებულების ერთერთი ელემენტია. არაფერი ისე არ უხდება ქართველს, როგორც ამ ენაზე საუბარი, რადგანაც ენა გარეთ გამოტანილი აზროვნებაა, აზროვნება კი შინაგანი ენა. ქართველის შინაგანი ენა კი მხოლოდ ქართული ცნობიერებითა და ფასეულობებითაა ნასაზრდოები, რომელიც თავის თავში იტევს ერის ცხოვრებას, დიდებასა და ისტორიას.

თამარ მარუაშვილი

საქართველოს ისტორიას ქართული ენის სახით ჰყავს ისეთი მცველი, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი დაამარცხებს, რადგან ის ღვთის საჩუქარია. ღვთის ნებას კი ნინ ვერაფერი დაუდგება. დედაენის სიყვარულის გარეშე წარმოდგენილია ქვეყნის სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და ერისა. ქართველებს კი სამშობლოს სიყვარულში ცოტა ვინმე თუ გაგვეჯობებდა. საბჭოთა პერიოდში დადგა საკითხი 1936 წელს მიღებული საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის შეცვლის შესახებ, რომლის საფუძველზეც უქმდებოდა საქართველოს სახელმწიფო ენა. ახალი მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში უნდა ჩანერილიყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ხდებოდა რუსული ენა, ხოლო ქართული ენა მხოლოდ სასაუბრო სტატუსი ენიჭებოდა. ეს გადაწყველება გახდა წინაპირობა ერის ყველაზე ძვირფასი საგანძურის — ენის შელახული ღირსების დასაცავად აგორებული საყოველთაო მღელვარებისა. მშობლიურ ენაზე თავდასხმა ქართველისათვის მის გულზე თავდასხმას

ნიშნავდა. ვერც ერთი რეჟიმი და ვერც ერთი ფაქტორი ვერ გახდებოდა ამ დროს ქართველი ერის ნებაზე უფრო ძლიერი და შეუვალი.

1978 წლის 14 აპრილი ქართული რევოლუციური სულის, ეროვნული ღირსებისა და მაღალი თვითშეგნების უპრეცედენტო გამარჯვების დაუწყებელი ზეიმია. არავის უნახავს დღემდე ასეთი გამარჯვების პრეცედენტი. ეს იყო დღე, როდესაც ყველა — საქართველოში მცხოვრები ქართველი თუ არა-ქართველი, დიდი თუ პატარა, პარტიული თუ უპარტიო, ხელისუფლების წარმომადგენელი თუ რიგითი მოქალაქე ერთსულოვნად გამოხატა კრემლის ინიციატივას და მკერდს უშვერდა ტყვიას, რომელსაც ქართული ცნობიერება და ყველაზე დიდი ფასეულობა — ქართული ენა უნდა „მოეკლა“. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა და 14 აპრილს — დედაენის დღეს, საზოგადოების ყველა თაობა ერთნაირი შემართებით აღნიშნავს, როგორც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელთა საოცარი ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს.

მ-3 გვირგვინი

8 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის
თავმჯდომარესთან თორნიკე ხუციშვილთან

8 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დაიწყო, — ამის თაობაზე მოქმედი თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარე თორნიკე ხუციშვილმა სპეციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ არჩევნებს თვითმმართველობის მიერ წარდგენილი ცენტრალური საარჩევნო კომისია ჩაატარებს. მან სტუდენტებსა და სტუდენტურ მოძრაობებს რეგისტრაციის გასაველეად მოუწოდა. არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყო. ასე რომ, სტუდენტებს წინ ცხელი გაზაფხული ელით.

ნიმუ კაპულია

— ახალი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. საინტერესოა, რა გამოცდილება დააგროვა პირველმა თვითმმართველობამ და თუ გაამართლა სტუდენტების იმედები?
— თვითმმართველობა ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი სტუდენტ-

ბისა, რომლებსაც უნდა ეფიქრათ თავისუფალი დროს ორგანიზებაზე, რათა სტუდენტების ყოფნა უნივერსიტეტში რაც შეიძლება შემოქმედებითი გახდებოდა.

მე, პირადად, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორგანიზაციის არსებობამ წამდვილად გაამართლა. ყველამ იცის, რომ ეს იყო პირველი წარმონაქმნი ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში და შესაბამისად,

წინააღმდეგობები თუ დაბრკოლებები საკმაოდ ბევრი იყო... მაგრამ პირველად არჩეულ თვითმმართველობას საამაყო ის მაინც აქვს, რომ ჩვენ შევქმენით ის ბაზისი, რომელზეც შემდგომი თვითმმართველობის საქმიანობა აყვება. ჩვენ სერიოზული ძალისხმევა დაგვჭირდა ამისთვის და ვფიქრობ, მომავალ თაობებს ამ კუთხით მდგომარეობა გავუმარტივებ.

რაც შეეხება ჩვენს მუშაობას, შეიძლება გაცილებით მეტის გაკეთება, თუმცა ისევე და ისევე აღვნიშნავ, რომ იყო სერიოზული დაბრკოლებები: მოგვიხდა ძალიან ბევრი ტექნიკური საკითხის გადაჭრა, ამას დაერთო გამოუცდებლობა — არ ვიცოდით მუშაობის სპეციფიკა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ

მაინც შევძელით ჩამოგვეყალიბებინა ორგანიზებული, გამართული სტრუქტურა, რომელიც რეალური საქმეების კეთებასა და სტუდენტთა თვითრეალიზაციაზე ფიქრობდა. ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 150-დან 200-მდე პროექტი განხორციელდა, გარდა ამისა, გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული, სოლიდური დახმარებები გავუწიეთ სტუდენტებს, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის კონკრეტული ღონისძიებები გავატარეთ... ასე რომ, საქმე რეალურად გავაკეთეთ, თუმცა შეიძლება უფრო მეტის გაკეთებაც...

მ-7 გვირგვინი

სტუდენტური Press

მ-7-10 გვ.

ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის
2007 წლის
ანგარიში წარმო-
მადგენლობითმა
საბჭომ ერთხმად
დაამტკიცა

მ-2 გვირგვინი

„საუბრები
აფხაზეთზე“

მ-5 გვირგვინი

საქართველოსთვის
M A P-ის მინიჭების
საკითხს საპარ-
ლამენტო არჩევ-
ნების დამოკრა-
ტიულობის ხარი-
სხი გადაწყვეტს

მ-6 გვირგვინი

ნაფიცი მსაჯულის
ინსტიტუტის
არსებობა სამოქ-
ალაო საზოგადო-
ებისთვის დიდი
პასუხისმგებლობაა

მ-13 გვირგვინი

მათა მირი-
ანაშვილის
დაბადებიდან
100 წლის-
თავისადმი
მიძღვნილი სხდომა
გაიმართა

მ-14 გვირგვინი

როგორ არ უნდა
გაშუქდეს მედიასი
გავვითა
პრობლემა

მ-14 გვირგვინი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის ანგარიში წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხელ დაამტკიცა

11 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (საქართველოს კანონის — „უმალღესი განათლების შესახებ“ 24-ე მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად) თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის ანგარიში მოისმინა.

ანგარიშიში აღინიშნა, რომ 2007 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაქტობრივი შემოსავალი 32 674 139 ლარი იყო. აქედან ფაქტობრივად ხარჯდა 26 636 826 ლარი შეადგინა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაწვრილებით ანგარიშში აღწერილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების, საგარეო ურთიერთობის, პერსონალის მართვის, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების, კანცელარიის, მონიტორინგის სამსახურის, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“, თსუ გამომცემლობის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, თსუ მუზეუმის, კულტურისა და სპორტის ცენტრის და თსუ აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის მიერ 2007 წელს გაწეული სამუშაოები.

განხილვის შემდეგ წარმომადგენლობითმა საბჭომ ანგარიში ერთხელ დაამტკიცა.

ამავე სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაასამტკიცებლად წარადგინა ცვლილებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში.

წარმომადგენელი ცვლილებების მიხედვით:

სასწავლო დეპარტამენტში ოთხი განყოფილების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ორი — სტუდენტთა მომსახურების და სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებები; ამავე

დეპარტამენტს დაემატა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ერთი სამსახური ერთეული;

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს დაემატა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის და უფროსი სპეციალისტის სამსახური ერთეული;

გაერთიანდა საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტები. პროექტში მითითებული იყო, რომ აღნიშნული დეპარტამენტების გაერთიანება განპირობებულია მატერიალური და ფინანსური ნაკადების მოძრაობის მონესრიგების აუცილებლობით. დეპარტამენტების გაერთიანების შედეგად აღმოიფხვრება გადასაწყვეტი საკითხების დროში გაჭიანურების პრობლემა, რაციონალურად მოხდება ფინანსური რესურსების გამოყენება, მონესრიგდება აღრიცხვიანობა და მართვის თვალსაზრისით, ერთ სტრუქტურაში კონცენტრირდება მატერიალური და ფინანსური რესურსები. სტრუქტურული ცვლილების შედეგად, გაერთიანებული დეპარტამენტის უფროსს, ნაცვლად ერთისა, ეყოლება ორი მოადგილე — საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სფეროში. შესყიდვების განყოფილებას უხელმძღვანელებს განყოფილების უფროსი; ცალკე გამოიყო ავტოფარების უფროსის სამსახური ერთეული;

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს დაემატა მთავარი სპეციალისტის სამსახური ერთეული;

საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სფეროში. შესყიდვების განყოფილებას უხელმძღვანელებს განყოფილების უფროსი; ცალკე გამოიყო ავტოფარების უფროსის სამსახური ერთეული;

ცვლილება შეეხო სპორტისა და კულტურის ცენტრსაც — მისი სახელმძღვანელო ჩამოყალიბდა როგორც „კულტურისა და სპორტის ცენტრი“;

უნივერსიტეტის სამუშაოში სამსახურს, მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებად, ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი. ამავე სტრუქტურაში სამუშაოში სამსახურის უფროსის თანამდებობა შეიცვალა მუზეუმის დირექტორის სამსახურით, მთავარი სპეციალისტის სამსახურით ერთეული ჩანაცვლდა დირექტორის მოადგილის სამსახურით, მუზეუმს დაემატა უფროსი სპეციალისტის ერთი სამსახური ერთეული;

რედაქციის შემოქმედებითი თავისუფლებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოიყოფა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია;

უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალობისა და საჯაროების პრინციპებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოიყოს პრეს-სამსახურის უფროსი და პრეს-სამსახურის სპეციალისტი;

სამუშაოს მოცულობისა და თავისებურებებიდან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს დაემატა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის შტატი;

დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა აბიტურიენტთა მომსახურებელი ცენტრი ორი სამსახური ერთეულით —

ცენტრის უფროსი და უფროსი სპეციალისტი.

ცვლილებები შეეხო ფაკულტეტებსაც:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაუქმდა ბიბლიოთეკარის ერთი სამსახური ერთეული და გამოიყო სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის ერთი სამსახური ერთეული;

მედიცინის ფაკულტეტზე გაუქმდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ერთი შტატი (ნაცვლად სამისა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს ეყოლება ორი მოადგილე) და ერთი ერთეულით შემცირდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტებისა და მდივნების რაოდენობა; ამავე ფაკულტეტზე დაემატა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკარის შტატი;

სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაუქმდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ოთხი სამსახური ერთეული;

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის მოადგილეებს რეცხვა ერთიდან ორამდე გაიზარდა; ამავე ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტის შტატი დაემატა ორი სამსახური ერთეული. აქვე გაუქმდა სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის სპეციალისტის ოთხი და მდივნის ერთი სამსახური ერთეული.

სათანადო განხილვის შემდეგ თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის სტრუქტურის აღნიშნული ცვლილებები დაამტკიცა.

ურთიერთთანამშრომლობის რა პერსპექტივები „ჩამოიტანა“ რეპტორმა გუდაკეტიდან

25-27 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციის ბუდაკეტიში ვიზიტი შედეგადად აღმოჩნდა. როგორც თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა აცხადებს, ვიზიტი მნიშვნელოვანი გახლდათ იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული აკადემიური პროგრამების მოდერნიზაციის პროცესი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან ერთად განხორციელდება. „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტმა ამ პროექტში თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა უკვე დაადასტურა. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, მოგეხსენებათ, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც შედარებით მოკლე პერიოდში მოიპოვა ძალიან დიდი ავტორიტეტი. თუ როგორ შეიძლება, მოკლე დროში, უნივერსიტეტმა მიაღწიოს წარმატებებს — ამ კუთხით გამოცდილების გაზიარებაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“, — განაცხადა რექტორმა.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მონაწილეობა შეეხება აკადემიური პროგრამის ყველა მხარეს, პროგრამის დიზაინიდან დაწყებული მისი შინაარსით დამთავრებული. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სპეციალური დარგობრივი კომისიები, რომლებიც განახორციელებენ საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხურზე მოქმედი აკადემიური პროგრამების რევიზიას. როგორც გაირკვა, ამ კომისიაში აქტიურად ჩაერთვებიან პოტენციური დამსაქმებლებიც და უცხოელი ექსპერტებიც. „ამ პროცესში სასწავლო ტრენინგს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებას, მომავალში უნივერსიტეტში აკადემიური პროგრამების კომიტეტის ჩამოყალიბებას. რაც შეეხება პროექტის დაფინანსებას, ღია საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, წინასწარი მოლაპარაკებების თანახმად, მას ღია საზოგადოების ინსტიტუტი დააფინანსებს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ. მისი თქმით, ძალიან მასშტაბურია ის სამუშაოები, რაც თსუ-ში მოქმედი აკადემიური სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის კუთხით განხორციელდება. „ეს იქნება ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოები პროგრამული აკრედიტაციისათვის, რომელიც საქართველოში უახლოეს ხანებში დაიწყება“, — განაცხადა რექტორმა. მისი ინფორმაციით, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის რექტორთან და პრორექტორთან შეხვედრაზე მათი მხრიდან გამოითქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი ერთობლივი პროგრამების განხორციელების კუთხითაც. რამდენიმე ასეთი პროექტი უკვე ხორციელდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. ახლო მომავალში ეს თანამშრომლობა სხვა ფაკულტეტებსაც მოიცავს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობის შეხვედრები გაიმართა, ასევე, მთელს ევროპაში ცნობილ ბიზნესის სკოლის ხელმძღვანელობასთან, რომელთაც ორმხრივ თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. „ისინი დაგვიხმარებენ ჩვენთან მოქმედი აკადემიური სასწავლო პროგრამების ექსპერტის განხორციელებაში. შევეთანხმდით, რომ საწყის ეტაპზე დაიწყებთ მოლაპარაკებას ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად, რომელიც, შემდგომ, ერთობლივი ხარისხის მინიჭებითაც შეიძლება დასრულდეს“, — აღნიშნა რექტორმა.

ქართული ენის დღეს სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა

14-15 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახელმწიფო ენის პროგრამის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გამართა თემაზე: „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: სწავლა, სწავლება და შეფასება“.

სათუნა ხატიავილი

კონფერენცია, რომელზეც ფილოლოგებმა და ენათმეცნიერებმა თანამედროვე ქართული ენის პრობლემატიკაზე პროფესიული დისკუსია გამართეს, ქართული ენის დღეს მიეძღვნა, რომელიც სიმბოლურ სათავეს 1978 წლის 14 აპრილიდან იღებს.

ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც დედამისისა და ქართულის, როგორც მეორე — უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა აღმოჩნდა კონფერენციაში მონაწილე სპეციალისტების განსახილველი საკითხი. ამ თემას არაერთი საინტერესო მოსხენება მიეძღვნა.

სახელმწიფო ენის პროგრამის კოორდინატორის თინათინ ბოლქვაძის განცხადებით, 1978 წლის 14 აპრილიდან ზუსტად 30 წელი გავიდა, მაგრამ მას შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ, ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა და ქართულმა ენამაც იმდენი კატაკლიზმები გადაიტანა, რომ უფრო მნიშვნელოვანია, დღეს ვისაუბროთ თანამედროვე პრობლემებზე და საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, როგორ მტკიცედ დავიცავთ მან სახელმწიფო ენა.

„ყველა დროს თავისი პრობლემები ახლავს და დღეს სხვა სერიოზული მოვლენების წინაშე ვდგავართ. ამათგან ერთერთი უმთავრესი ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სახელმწიფო ენა არ იცის“, — აღნიშნა მან.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გია ნოდიას თქმით, ამჟამად, ქართული ენის პრობლემა სხვაგვარად დგას. „საქართველოში, არაკონტროლირებად ტერიტორიებს თუ არ ჩავთვლით, ქართული ენის ფორმალურ სტატუსს არანაირი საფრთხე არ ემუ-

ქრება. მიუხედავად ამისა, იგი ვერ ვერ ასრულებს საზოგადოების ფაქტობრივად გამაერთიანებელ ფუნქციას. ეს ფუნდამენტური პრობლემაა, რომელსაც ერთ-ორ წელიწადში ვერ გადავჭრით, მაგრამ აუცილებელია ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა“, — აღნიშნა მინისტრმა.

„ბუნებრივია, ქართული ენის ეფექტური სწავლების მეთოდის მოძებნა ჩვენთვის პოლიტიკური ამოცანაა. ამ საკითხზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წლების განმავლობაში მუშაობს, მაგრამ გვჭირდება მუშაობის გაძლიერება. რესურსების გარდა, ერთერთი

ამოცანა ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისთვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური და ცხოვრობს ისეთ გარემოში, სადაც ეს ენა ნაკლებად ფუნქციონირებს. ამ თვალსაზრისით, სერიოზული პროექტები უკვე შესრულებულია. გვაქვს გარკვეული პროგრესი, მაგრამ გვჭირდება მეტი სამეცნიერო მუშაობა“, — აღნიშნა გია ნოდია.

ქვეყნის თითოეული მოქალაქის პროფესიული კარიერის უმთავრესი წინაპირობად სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხს მიიჩნევს თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა. მისი განცხადებით, ქართული ენის შესწავლა მიმდინარე საინტეგრაციო პროცესებში მნიშვნელოვანი ფაქტორია და თუ გვინდა, რომ ეთნიკური უმცირესობები უფრო ფართოდ იყვნენ წარმომჩენი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, ამაზე საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ.

ემუქრება თუ არა საფრთხე ქართული ენის სინამდის?

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი მიხეილ შურდიაძე.

— ბატონო მიხეილ, ცნობილია, რომ თქვენ იყავით თვითმხილველი და შემსწრე 14 აპრილს განვითარებული მოვლენებისა, შეიძლება თუ არა მეტ-ნაკლებად ვინმეს პიროვნული როლი გამოეყოთ საერთო სახალხო მღელვარების ორგანიზებაში?

— ნელს სრულდება ზუსტად 30 წლისთავი იმ ავბედით დღიდან... 1978 წლის 14 აპრილი — ეს იყო 1956 წლის სისხლიანი მარტის შემდეგ პირველი მასობრივი და საყოველთაო აქცია. დღეს ბევრი ადამიანი ცდილობს თავისი როლის წარმოჩენას ამ აქციის ორგანიზებაში, მაგრამ ამას ადვილად ვერავინ დაიბრალვს. სხვათაშორის, არც მე მაქვს ამის პრეტენზია, თუმცა 14 აპრილის აქციური მონაწილე მეც გახლდით და რუსთაველის პროსპექტზე გამართულ აქციაზეც არაერთხელ გამოვედი მონაწილეთა და სიტყვით. ეს დღე ძალიან დიდი ხნის მანძილზე დაგროვებული ეროვნული ენერჯის ამოხუთქვის დღედ შეიძლება მოვთვალოთ.

14 აპრილის მოვლენას „ინ-სპირატორები“ მოსკოვში ჰყავდა. ამ ადამიანებმა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება გადაწყვიტეს. მოსალოდნელ საფრთხეზე ეჭვი ჯერ კიდევ 1977 წლიდან გაჩნდა, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია შეიცვალა. ამ კონსტიტუციის მიხედვით უკანარა გახდა რუსეთის ბორჯბუკის ვიდეო ქართული, თუნდაც ფორმალური სახელმწიფოსათვის გარკვეული უფლებებისა და ფუნქციების შეზღუდვის თაობაზე. ერთი გკონდეს რაღაცის უფლება, მაგრამ მეორეა ამ უფლებით სარგებლობის საშუალება. ის, ვინც ფიქრობდა ჩვენი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმებას, მან კარგად იცოდა ისიც, თუ რა მწვევე რეაქციას გამოიწვევდა ეს გადაწყვეტილება ქართულ ხალხში. იმ დღეებში ჩემთვის ბევრი რამ გახდა ცნობილი. ამ გადაწყვეტილებამ მართლაც ისეთ ხალხში გაადვილა პატრიოტიზმის, საკუთარი ენის დაცვის გრძობა, რომ ამას მანამდე ვერც კი დაიჯერებდით. ისინი ხომ საბჭოური ცხოვრების დინებას ურეაქციოდ მიჰყვებოდნენ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

კონსტიტუციის განხილვა მიმდინარეობდა ლიტერატურის მუშაუბრაში, მწერალთა კავშირში, სადაც ხალხის რეაქცია და პროტესტი ძალიან მძაფრ ხასიათს იძენდა. ეს აღმოფთება საყოველთაო გახდა და თითქმის მთელი ქვეყანა მოიცვა.

ბატონ აკაკი ბაქრაძეს ვახლდი მარნეულში. შეხვედრა გვქონდა ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან, სადაც საოცარი ფრაზა მოვისმინე: „ჩვენ ამ საქმეში არ გილაღატებთ, როდგან ერეკლე მეფის ქვეშევრდომები ვიყავით და ქვეყნის ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე სხვა დანარჩენს“. მართლაც, იმ დღეს რუსთაველის პროსპექტზე ქართველების გვერდით იდგნენ აზერბაიჯანელები (ბორჩალოელები), ქურთებიც, სომეხებიც და კიდევ მრავალი არაქართველი ადამიანი, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსებიც კი.

— სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში თუ დადგა მშობლიური ენის რუსული ენით ჩანაცვლების საკითხი?

— რა თქმა უნდა, დადგა. მაგრამ ყველას არ ჰქონდა სახელმწიფო სტატუსით აღჭურვილი საკუთარი ენა, რომელსაც კონსტიტუცია უმაგრებდა ზურგს. ჩვენი ისტორიის თანახმად ძვ.წ.დ. 284 წელს ფარნავაზ მეფემ ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა და იმის მერე ამ ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი რეალურად კითხვის ქვეშ არასოდეს დამდგარა. სხვა ქართველური წარმართი ტომებიც კი იმ დროიდან საკუთარი რიტუალების აღსრულებისას ქართული ენითა და ქართული ტერმინოლოგიით სარგებ-

ლობდნენ. ეს ბუნებრივია... როდესაც ენა იძენს სახელმწიფო ფუნქციას, ის შედის კანცელარიაში, განათლებაში, კულტურასა და რელიგიაში. ამ ფუნქციით აღჭურვილი ქართული ენა ფარნავაზის დროიდან უცვლელად ასრულებდა თავის პოლიტელენტიურ ფუნქციას და ეს ხდებოდა მაშინაც, როდესაც რუსმა ეკზარხოსებმა XIX საუკუნეში ქართული ენის ეკლესიიდან „გამოდევნა“ მოინდომეს.

— ალბათ დამეთანხმებით, ასეთი რამ არც ერთ დამპყრობელს არ მოუთხოვია...

— დიახ, რუსეთი იყო ის ქვეყანა, რომელმაც მოახდინა არა მარტო საქართველოს ანექსია, არამედ მისი ოკუპაცია. ამ თემაზე გენიალური ლექსი აქვს მუხრან მაჭავარიანს:

„ეს ვინ ყოფილა ბატონო რუსი, ეს რა ყოფილა ბატონო რუსი, არ მოგვანატრა ხმალი და გურუნი თემურლენგისა და მურვან ყრუსი“.

დაბეჯითებით მინდა ვითხრა, რომ არც ერთი დამპყრობელი არ გათავხედებულა ასე, მონოლობიც კი... მშობლიური ენის ხელყოფამ შექმნა იმპერიასთან მებრძოლი ადამიანის ახალი ტიპი — უშიშარი და უკომპრომისო.

ჩვენ ვიცოდით, რომ იმ დღეს შეიძლება ჩვენი ტყვეობა ესროლათ... აკაკი ბაქრაძემ ჩაგვაცენა საქმის კურსში. მან მთხოვა, დავლაპარაკებოდი უნივერსიტეტის სტუდენტებს. ჩემი სიტყვა იყო ნათელი და მოკლე: „ჩვენ შეიძლება გვესროლონ, ჩვენ შეიძლება დაგვხოცონ, მაგრამ თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს — უღირს თუ არა სამშობლოსათვის და დედანისათვის სიკვდილი“.

სანამ დემონსტრაციაზე წავიდოდი, საავადმყოფოში მივაკითხე ავადმყოფ დედას და ვთხოვე — დაველოცე. დედამ გამომშვიდობებისას მითხრა: „შვილო თუ მოგკლავენ, შენ პირნათელ ნარსდგები უფლისა და სახელოვანი წინაპრების წინაშე“. დიდი მადლობელი ვარ ამ სიტყვებისთვის... ერთობის ისეთი მაგალითი მეორედ აღარ განვიხილავ. ეს მოხდა პირველად, კომუნისტური რეჟიმის განმარტობაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ მოძრაობას. დასაცავი იყო ყველაზე მთავარი პრინციპი ჩვენი არსებობისა. მინდა ვითხრა, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი თავის ერთ ავებულ სამყაროში ცხოვრობს. გენებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. თუ რომელიმე ენით ავებულ სამყაროში ცხოვრობ, შენ ამ სამყაროს შვილი ხარ, რა ეროვნების ადამიანიც არ უნდა იყო. მაგალითად მოვიყვანო თათარ ბელა ახმადულინას და ქართველ ბულატ ოკუჯავას. ისინი რუსი პოეტები არიან მიუხედავად იმისა, რომ ერთი წვეთი რუსული სისხლი არ უდიოდდათ ძარღვებში.

ენა წყვეტს ყველაფერს... რუსებს კარგად ჰქონდათ ეს გათვლილი. თუ ჩვენ მათ გადაწყვეტილებაზე თვალს დავხუჭავდით, ყველაფერ სხვასთან ერთად ენასაც წავგართმევდნენ, თუ არა და ფორმალური სუვერენიტეტის ყველა სხვა ატრიბუტს ჩამოგვართმევდნენ და ენის სახელმწიფო სტატუსს სამადლოდ გადმოგვიდგებდნენ.

— ბოლოს რუსეთმა ეს საკითხი მაინც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა. რა იყო ეს, რუსების მხრიდან კეთილი ნების გამოსატყულება თუ შიში იმისა, რომ ხალხის მღელვარება შეიძლება უმართავი გამხდარიყო?

— რუსეთს მაშინ სისხლისღერა არ აწყობდა, მას ჯერ კიდევ არ მართავდა გორბაჩოვის გათავხედებული მთავრობა. რუსეთს მართავდა ხელისუფლება, რომელიც იძულებული გახდა ანგარიში გაენახა ხალხისთვის. ჩვენ ქართული ენის სტატუსის მრავალ ვარიანტს გვთავაზობდნენ. ბატონი ედუარდ შევარდნაძე თავისთან იბარებდა საზოგადოების საპატიო წარმომადგენლებს, მწერლებს და მათ ამ საკითხზე ეთათბირებოდა. ასეთი ვარიანტიც შემოგვთავაზეს, რომ ქართული ენა გამხდარიყო არა სახელმწიფო, არამედ „რესპუბლიკის ენა“. იმ დროს ქართულ სივრცეში არ არ-

სებობდა ისეთი ადამიანი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდა. მინდა გრიგოლ აბაშიძე გავიხსენო. ის ყველა საბჭოთა „პატივით“ შემკული ადამიანი გახლდათ, მაგრამ ისიც კი სრულიად უკომპრომისო აღმოჩნდა ამ სიტუაციაში. ყველა თაობის წარმომადგენელი ერთნაირად ვიბრძოდით. საოცარი ერთობა იყო მაშინ...

დღეს ქართული ენის სინამდის საფრთხე ემუქრება. შევდები და გერმანელები ტირიან, რომ ინგლისური ენა „ჭამთ“... მინდა ვითხრა, რომ ენას მიდრეკილება აქვს დაშლისკენ და არა გაერთიანებისკენ. ანუ, ჩვენ ყველამ რომ დავიწყოთ ინგლისურ ენაზე საუბარი, ეს ენა მაინც დაიშლება სხვადასხვა ენებად. ამას დივერგაციის პროცესი ჰქვია.

ფარნავაზის დროიდან მოყოლებული დღემდე ქართული ენა იმდენად ნელა იცვლება, იმდენად კონსერვატიული აღმოჩნდა, იმდენად მოახერხა თავის თავში ყველა ჩვენი ფასეულობის მოქცევა, რომ მე სხვა მსგავსი ენა, ამ მხრივ, არ მეგულება. ჩვენ ფარნავაზის დროინდელი ქართული ენა ისევე გვესმის დღეს, როგორც ესმოდა მაშინ. სხვა ქვეყნების ენები, მაგალითად როგორცაა იტალიური, ბერძნული, სომხური... მოკლებულნი არიან ამ ბედნიერებას — თავიანთი ძველი ენების ძეგლები სავსეა შესწავლის გარეშე იკითხონ.

— ქართული ენის სინამდისე როგორ აისახება გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები?

— გლობალიზაციის ეპოქაში ცდილობენ ინგლისური ენა თავს მოგახვებონ. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კაცობრიობის მომავალი დაკავშირებული იქნება ბილინგვიზმთან. ადამიანები ენა ერთმანეთთან სალაპარაკოდ სჭირდებათ, მაგრამ ეს პროცესი სულაც არ გულისხმობს იმას, რომ საკუთარი ენა უარყო და იხვას ენის მომხმარებელი გახდეს. დღეს ეროვნული ნიშლიზმით შეპყრობილი ადამიანები ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარება ინგლისურ ენაზე შეიძლება, რაც დიდი აბსურდია. მსგავსი რამ არსად არასოდეს მოხდებოდა. ეს ჩვენ უკვე „გავიარეთ“, განა ამასვე არ გვიმტკიცებდნენ რუსებიც?

— რა დამეცავი მექანიზმები უნდა ავაშრომებოთ იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს. ალბათ, სახელმწიფომაც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის სინამდისის დასაცავად.

— თუ ერმა თვითონ არ მოინდომა გადაგვარება, მას ვერავინ გადაგვარებს. ჩვენ გვერდით არც ენებზე ენები, რომელთაც დამწერლობა სრულებით არ გააჩნიათ. მაგალითად — ბაბუური ენა. ერთ-ერთი ქართული ტომი — ბაცებები სახლში ბაცებურად საუბრობენ, სხვა მხრივ კი ისინი ისეთივე ქართველები არიან, როგორც ჩვენ, ყველანი. როდესაც ენები პოულობენ თავის ადგილს და ინანილებენ ფუნქციას, ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, აღარ ებრძვიან. ამიტომაც შემოგვარა ზანური, სვანური, ბაცური...

ყველაფერი ენაზეა დამოკიდებული. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს არა მარტო ენის პრესტიჟზე, მის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების არს გაფართობასა და გაძლიერებაზე. საქართველოში ქართული მეცნიერების ინიციატივით არსებობდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც ძალიან მაღალი სტატუსი ჰქონდა, რადგან ხელისუფლების მეთაური ედგა სათავეში.

— დღეს ეს კომისია აღარ არსებობს?

— არა. ვიღაცებმა ქვეყანაში შექმნილი არეულობით ისარგებლეს და იგი, ფაქტობრივად, გააუქმეს. თუ ეს კომისია იარსებებს ხელისუფლების უმაღლესი პირის ხელმძღვანელობით, მაშინ მისი მუშაობა უფრო ეფექტური გახდება.

— მეცნიერება რატომ არ დააყენეს ამ კომისიის აღდგენის საკითხი?

— შემოძლია პირდაპირ და ცალსახად გიპასუხოთ. როგორც მოგვ-



სენებთან, ენათმეცნიერების ინსტიტუტი სათავო ორგანიზაციად ითვლება და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელების ბატონ ავთონი არაბაბულის თაოსნობით ხელისუფლების წინაშე მრავალჯერ დაისვა ამ კომისიის აღდგენის საკითხი. იმედია, ხელისუფლება გააცნობიერებს ამ კომისიის აუცილებლობას და საკითხს დადებითად გადაწყვეტს.

ქართულმა მეცნიერებმა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლისთვის ქართული ენის ცოდნის აუცილებლობის საკითხი დავაყენეთ. არაქართველ მოსახლეობას პროტესტი არ გამოუთქვამს, სამაგიეროდ აღმოჩნდნენ ისეთი ქართველებიც, რომლებმაც გაილაშქრეს ამ ვალდებულების წინააღმდეგ. ის, ვინც ამას ებრძვის, ჩვენი თანამემამულე, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მტერია, რადგან მათ საკუთარი თავის რეალიზების და ღირსეული კარიერის გაკეთების შანსს ართმევს. ამით ისინი ხელს უშლიან სხვა ეროვნების წარმომადგენელთა სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ არჩევას პარლამენტში, მათ დანიშნვას აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატში და სხვა.

ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქვეყანა იგებდა არა ეთნოსზე, არამედ მოქალაქეზე. თუ სხვა ეთნოსის წარმომადგენელ შენს მოქალაქეს შენსავე ქვეყანაში სახელმწიფო ენას არ ასწავლი, მაშინ ის განწირული გაყავს უსახური არსებობისთვის და უკებზე გახს ქართული კულტურისკენ, განათლებით სკე, ქართული სახელმწიფო ინტერესებისკენ.

ყველაზე მთავარი, რაც ჩვენ გავაჩნია, არის სახელმწიფო ენა და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აქ მცხოვრებ ყველა ადამიანს ჰქონდეს ერთნაირი შანსი განვითარებისთვის.

— როგორ გგონიათ, დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს თუ არა მაქსიმუმს იმისათვის, რომ ეს საკითხები ასე თუ ისე მოგვარდეს, ტექნიკური მხარე დაიხვეწოს...

— ქვეყნის არაქართველი მოქალაქეების მხრიდან არის ძალიან დიდი აქტივობა. რა თქმა უნდა, იწვევა სახელმძღვანელოები, ტარდება მასწავლებლების მოსამზადებელი ტრენინგები, შენდება სკოლები. ერთადერთი, რასაც ვურჩევდი საქართველოს ხელისუფლებას, არის ის, რომ მან მაქსიმალურად შეწყოს ხელი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, დაასპორებს და მიგრანტებს, რათა ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა

ისწავლოს ქართული ენა და ჰქონდეს შანსი ისევე შეიტანოს წვლილი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, როგორც საქართველოს მოქალაქეს ეკადრება. ჩვენი მოქალაქეები მარგინალიზებულ არ უნდა ვამყოფოთ...

— ჩვენი ქვეყნიდან ემიგრირებული ქართველების შემთხვევაში რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ მათ შთამომავლობას მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ. დღეს ეს, ფაქტობრივად, ხომ მხოლოდ მშობლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული?

— აუცილებლად უნდა არსებობდეს სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც დაფინანსდება სახელმწიფოსა თუ საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ უცხოეთში საქართველოდან გასული მოსახლეობისთვის ქართული ენის ცოდნის მიწოდებას. ჩვენ უნდა ვიყოთ დაინტერესებული, რომ მათ შეინარჩუნონ ეროვნული იდენტობა. უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული დიასპორა თუ სათვისტომოები უზრუნველყვით ქართული ენის ხარისხიანი სწავლებით.

— თქვენი აზრით, როგორ არის მედიასივრცეში შენარჩუნებული ქართული ენის სინამდისე?

— როგორც მოგეხსენებათ, მშობლიური ენის სწავლას ადამიანი „დედაენით“ იწყებს. ჩვენ გოგებაშვილის „დედაენით“ გავიზარდეთ, ახლა კი სკოლებში შევადანსავა ავტორების მიერ შედგენილი „დედაენა“ შეაქვს. ეჭვის ქვეშ დგება ამ ნივთის შინაარსის ხარისხის საკითხი. თქვენ რას იტყვიან ამის შესახებ?

— მამა კონსტანტინე გიორგაძის თაოსნობით შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული „დედაენების“ შესწავლა ყველაწარმო თვალსაზრისით. ნელს პირველად გაიმართება კონფერენცია, სადაც განიხილავენ ყველა „დედაენას“, რომლებიც დღეს სკოლებში ისწავლება. მენდეთ, აქაც შეიძლება წესრიგის დამყარება. სწორად უნდა გვესმოდეს კონკურენციის საკითხიც...

ნივნმა თავისი შინაარსითა და ხარისხით კონკურენცია უნდა გაუწიოს მსგავსი ტიპის გამოცემებს. ყველა „დედაენისთვის“ აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს ქართული ენის სინამდისის დაცვა. მოსწავლეს პირველი წიგნიდანვე უნდა ჩაუწერდეს მშობლიური ენის პატივისცემა და სიყვარული.

გასწორება

31 მარტის გაზეთში (გაზეთი №4) გამოქვეყნებულ სტატიაში — „ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი მისი ენით ავებულ სამყაროში ცხოვრობს“ აბზაცი — „ჩვენ, ქართველები, მართალია, ოთხ დიალექტზე ვლაპარაკობთ, მაგრამ საბოლოოდ სალიტერატურო ენაზე ვახდენთ ორიენტაციას“ — უნდა იკითხებოდეს: „ჩვენ, ქართველები, მართალია, მინ ოთხ ენაზე ვლაპარაკობთ (რომელთაგან სამი ქართველური, ერთი კი მონათესავე ნახური ჯგუფისაა), მაგრამ ისინი ფუნქციურად ქართული სამნიგნობრო-სახელმწიფო ენის სოციოლინგვისტური დიალექტები არიან. ჩვენც ყველანი ეროვნული თვალსაზრისით სწორედ ამ პოლივალენტურ ენაზე ვახდენთ ორიენტაციას და ამ ენით ავებულ სამყაროში ვცხოვრობთ“.

9 აპრილმა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა განსაზღვრა

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც მნიშვნელოვანი თარიღი. ამ დღიდან ქართული ეროვნულ — განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა, რამაც ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი დასავლური ღირებულებების სწრაფი განსაზღვრა.

ამ მოვლენიდან თითქმის ოცი წელი გავიდა. საქართველოს ისტორიაში ჩაინერა კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც 9 აპრილი და ამ დღეს დაღუპულ მამულიშვილთა სისხლი თავისუფლებისთვის გაწეულ ხარკად არის მიჩნეული.

მაია ტორაძე

9 აპრილის მნიშვნელობასა და საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მის როლზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა ბურული:

— 1989 წლის 9 აპრილი ქართული ეროვნული მოძრაობის ლოგიკური გაგრძელება და უმნიშვნელოვანესი მიჯნაა. ეს მოვლენა რომ ზუსტად შეფასდეს, აუცილებელია გავიაზროთ ორი მომენტი: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იმდროინდელ საბჭოთა კავშირში, ანუ ქვეყანაში, რომლის ნაწილსაც საქართველო წარმოადგენდა და ქართული ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 70-80-იან წლებში. 9 აპრილის შეფასება მათგან დამოუკიდებლად არ შეიძლება, რადგან ამ შემთხვევაში ის, შესაძლოა, ვინმეს უმნიშვნელო მოვლენად, ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთ გაღვნილ მომენტად, რაც არასწორი იქნება.

დავინწყოთ იმით, თუ რას წარმოადგენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ 1985 წლიდან, მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, საბჭოთა იმპერია გვემართებოდა იმდროინდელს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოკეანის გაღმა ან გამოღმა ვიღაც იჯდა და ღილაკზე ხელის დაჭერით არეგულირებდა ამ პროცესს — უზარმაზარ იმპერიას ასევე უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდა, ამიტომ დაშლა არა გარედან, არამედ შიგნიდან უნდა დაწყებულიყო. გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და მიღებული კანონები ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის ნგრევას. მაგალითად, გორბაჩოვმა ადრე არსებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (პარლამენტის) ნაცვლად კონსტიტუციურად დააკანონა საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობა. ეს მაშინ საზოგადოების დიდ ნაწილს მორიგი ცვლილება ეგონა. არადა, ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა — საბჭოთა კავშირის

უმაღლესი საბჭო უმეტესწილად დაკომპლექტებული იყო არაპროფესიონალებით, რომლებსაც პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდათ. ამ ცვლილების შემდეგ საბჭოების ყრილობის უმრავლესობაში მოვიდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც იმპერიას თავისთავად



დაშლიდნენ, რადგან მათთვის საბჭოთა კავშირი, როგორც ზესახელმწიფო, ბოროტება იყო. ასე რომ, XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია და ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, ქართული ეროვნული მოძრაობის მიხედვით, რომელიც მიიქცა იმის საშუალებად, რომ საჯაროდ, პროტესტის ნებისმიერი ფორმით გამოეთქვა აზრი და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაეხსია. ეროვნული მოძრაობა რომ ამ შანსს აუცილებლად გამოიყენებდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობდა. ასე რომ, 9 აპრილი იმ ეპოქით განსაზღვრული მოვლენა იყო.

რაც შეეხება 9 აპრილის მნიშვნელობას საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიაში: ქართული ეროვნული მოძრაობა

იატაკვეშეთში ვითარდებოდა, მას დიდი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნდა. ამ პერიოდში ეროვნული მოძრაობის წინამძღოლებმა სწორად იგრძნეს ხელისუფლების ლიბერალიზაცია და ეროვნული მოძრაობა განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანეს. ბევრი ამტკიცებს, რომ ეს გზა რადიკალური იყო და 9 აპრილი სწორედ ამ რადიკალიზაციის შედეგია. მათი აზრით, უნდა დაგვეცადა საბჭოთა კავშირის დახრევაზე და მაინც იგივე რეზულტატს მივიღებდით, რაც 9 აპრილის შემდეგ მივიღეთ. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები: 9 აპრილამდე არავინ იცოდა, როგორ დაიშლებოდა ან, საერთოდ, დაიშლებოდა თუ

ოვის იდეოლოგია. ზემოთ მოგახსენეთ, რომ 9 აპრილი ეროვნული მოძრაობის განვითარების შედეგი იყო. მოსკოვი აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერით აშკარად ცდილობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და მის დაშლას. ასეთივე მდგომარეობა იყო სამაჩაბლოში — ე.წ. სამხრეთ ოსეთში. როდესაც შენი სამშობლოს წინაშე დგას ორი ისტორიული რეგიონის დაკარგვის საშიშროება, რა უნდა მოიმოქმედოს ეროვნულმა მოძრაობამ და მისმა ლიდერებმა? ხელისუფლების მოთხოვნის საპასუხოდ უნდა აიბარგონ, დაიხურონ ქუდები და სიკვდილით დასჯის შიშით სახლში წავიდნენ? ეროვნული მოძრაობის ლიდერებს მაშინ გამოსვლა რომ შეეწყვიტათ, ისინი ეროვნულ მოძრაობას შეიყვანდნენ იდეურ ჩიხში, საიდან გამოსვლაც ძალიან ძნელი იქნებოდა. ასე რომ, 9 აპრილი თავისი შინაარსით, დასაწყისით და განვითარების ეტაპებით ძალიან სწორად დაგეგმილი იყო და სისხლის დაღვრაზე პასუხისმგებლობა არა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, არამედ მაშინდელ ხელისუფლებას ეკისრება.

რაც შეეხება 9 აპრილის მნიშვნელობას ქართველი ერის და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში: რუსთაველზე დაღვრილი სისხლი დიდი იმპული აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობისათვის. 9 აპრილამდე საქართველო და ქართველი ერი თავისი ფსიქოლოგიით სულ სხვა იყო. ჩვენ რიცხვით მცირე ერი ვართ და ჩვენი ისტორია თავისი კანონზომიერებით იწერება. შეიძლება ასეთ მოვლენას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონოდა დიდი სახელმწიფოსთვის, მაგალითად, რუსეთისთვის, მაგრამ ასეთ მოვლენებს ლიტვისთვის, ლატვიისთვის და საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 9 აპრილს საბჭოთა რეჟიმმა საქართველოში პრაქტიკულად თავის სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელი, რითაც გადაწყვიტა 1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების ბედი. ამ არჩევნების მოგების შანსი ხელისუფლებამ თვითონ არ დაიტოვა.

ჩვენ ყოველ 9 აპრილს პატივი უნდა მივაგოთ დაღუპულებს და მოვიხსენიოთ ისინი. გლოვა უნდა დამთავრდეს და ხსენება უნდა გაგრძელდეს, რომ შთამომავლობამ იცოდეს — რა ვალშია საქართველო ამ ადამიანების წინაშე. საქართველოს ეკლესიაში 9 აპრილს დაღუპულთა ხსენება 1989 წლიდან დღემდე გრძელდება და ასე გაგრძელდება მომავალშიც. ეს უნდა იყოს ეროვნული გმირების, პატრიოტების ხსოვნის დღე — რადგან 9 აპრილმა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა განსაზღვრა.

პიზიტი

ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა — რეალობა თუ ფიქცია?

თსუ-ის 90 წლის საიუბილეო ღონისძიების პროგრამის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტს ენვია ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ნევროლოგიის დეპარტამენტის, ნეოროგენეზის და უჯრედული თერაპიის ხელმძღვანელი პროფესორი ულე ლინდვალა.

თამარ მარუაშვილი

პროფესორი ლინდვალა არის მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ნეიროტრანსპლანტაციის მიმართულებით და ერთერთი წამყვანი ექიმი ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობის სფეროში. პროფესორ ლინდვალს აქვს ექსპერიმენტული და კლინიკური ნევროლოგიაში მოღვაწეობის 35 წლის სტაჟი და ტრანსპლანტაციური კვლევის უდიდესი გამოცდილება. 1993 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ლუნდის კლინიკური ნეიროტრანსპლანტაციის პროგრამას და კოორდინაციას უწევს ნეიროტრანსპლანტოლოგიურ კვლევებს შვედეთში, ინგლისსა და გერმანიაში.

პროფესორმა ულე ლინდვალმა თსუ-ში ნაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „თავის ტვინის დაავადებების მკურნალობა ღეროვანი უჯრედებით — რეალობა თუ ფიქცია?“

შეხვედრაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ იმედი გამოთქვა, რომ პროფესორი ლინდვალის ვიზიტი გახდება ლუნდის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის აქტიური ურთიერთანამშრომლობის დასაწყისი.

„მინდა მოგახსენოთ, რომ თსუ-სთვის დიდი პატივია ისეთი რანგის მეცნიერის ვიზიტი, როგორცაა პროფესორი ულე ლინდვალა. ასევე საამაყოა ჩვენთვის, ჩვენი თანამემამულის, ასოცირებული პროფესორის, ლუნდის უნივერსიტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ზაზა კოკიას სტუმრობაც, რომელიც სულ ცოტა ხანში სრული პროფესორი გახდება. ის 1991 წლიდან წარმატებით მოღვაწეობს ლუნდის უნივერსიტეტში და ულე

ლინდვალთან ერთად არის მრავალი მეცნიერული ნაშრომის თანაავტორი.

თავის ტვინის დაავადების მკურნალობა ღეროვანი უჯრედებით მეტად აქტუალური თემაა. მსოფლიო სამედიცინო საზოგადოებაში დომინირებს აზრი იმის თაობაზე, რომ ღეროვანი უჯრედებს გააჩნიათ უდიდესი პოტენციალი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების მკურნალობის დროს, მათ შორის ისეთი დაავადებების, რომლებიც დღესდღეობით მკურნალობას არ ექვემდებარებიან. სამკურნალო მეთოდად აღიარებამდე კვლევების გაგრძელება აუცილებელია“ — აღნიშნა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

„მრავალი წლის მანძილზე ვიკვლევთ, თუ როგორ შეიძლება აღდგეს დაზიანებული ტვინის ფუნქცია ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გამოყენებით. 1979 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისას, ჩემს ხელმძღვანელს ღეროვანი უჯრედების გადანერგვით დაზიანებული ტვინის ფუნქციის აღდგენის იდეა გაეუზიდა, რომელიც მან დიდ სისულელედ მონათლა... მიუხედავად ამისა, მე ჩემი იდეის რეალიზების მცდელობა არ შემიწყვეტია და დღემდე ვაგრძელებ მუშაობას ამ მიმართულებით. ჩვენი გუნდის მრავალწლიანმა მეცნიერულმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია პარკინსონი დაავადებული პაციენტის ტვინში გადანერგილი დოფამინერგული უჯრედების ინტეგრირება (უჯრედები ფუნქციონირებენ 10 წელზე მეტხანს), კლინიკური სიმპტომების გაუმჯობესება და ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფუნქციური აღდგენა“, — აღნიშნა პროფესორმა ულე ლინდვალმა.

მან პირველმა დაამტკიცა, რომ თავის ტვინის დაავადების სამკურნალოდ შესაძლებელია უჯრედული თერაპიის გამოყენება. მის სამეცნიერო კვლევით ჯგუფს წამყვანი პოზიცია უკავია მსოფლიოში ნეიროგენეზის მიმა-

რთულებით. მათი კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს აგრეთვე ტვინის ინსულტი და ეპილეფსიის ცხოველური მოდელები. პროფესორი ლინდვალა ხელმძღვანელობს ნაშენებულ საერთაშორისო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს პარკინსონის დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებას უჯრედული თერაპიით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევებით მიღებული შედეგები არ არის საკმარისი ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის კლინიკური დასაწერად.

„დღემდე არ არის დამტკიცებული ამ მეთოდით მკურნალობის უპირატესობა დღესთვის აპრობირებულ მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით. რაც შეეკავშირა გადამტვირთვას და დავამტკიცეთ არის ის, რომ სხვადასხვა ნერვული დაავადებების დროს ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტ-

აციის საშუალებით შეიძლება მოხდეს ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, მეთოდს სჭირდება გარკვეული სრულყოფა, დახვეწა... საჭიროა ტვინის ფუნქციის აღდგენის მექანიზმის შესწავლა. პერსპექტივა არსებობს, წინ კი დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი“, — დასძინა ბოლოს პროფესორმა ულე ლინდვალმა.

ქართველი მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები არამარტო დიდი გულსყურით ისმენდნენ ულე ლინდვალის საჯარო ლექციას, არამედ თვითონაც აქტიურობდნენ და ბევრ საინტერესო მოსაზრებასა თუ შეხედულებას გამოთქვამდნენ აღნიშნული თემის გარშემო.

ულე ლინდვალმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ კოლეგებს საინტერესო შეხვედრისათვის და თავის თანაგუნდელთან, ზაზა კოკიასთან ერთად მომავალში ურთიერთანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.



„საუბრები აფხაზეთზე“

ინტერვიუ თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელთან ზურაბ შენგელიასთან

საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების ფონზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის დარეგულირება საქართველოსთვის კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. საგარეო პოლიტიკური კურსის ეტაპობრივად განხორციელების პარალელურად ხელისუფლება კონფლიქტური რეგიონების დე ფაქტო ხელმძღვანელობასთან და საზოგადოებასთან კვლავ აქტიური დიალოგის სხვადასხვა ფორმებს ეძებს და ახალი ინიციატივებით გამოდის. უკანასკნელი საგულსხმო ინიციატივა, რომელიც აფხაზური მხარის მისამართით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან გაუღებდა, კონფლიქტურ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ამოქმედებას და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი პოლიტიკური თანამდებობების (შესაბამისი უფლებამოსილებით) შეთავაზებას ითვალისწინებს.

არსებული რეალობის ფონზე რამდენად შესაძლებელია ახალი ინიციატივების განხორციელება და რა შედეგს მოუტანს ეს ქვეყანას? ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ექსპერტი ზურაბ შენგელია.

ხატუნა ხატიაშვილი

— აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა ახალი ინიციატივა გააუღერა, რომელსაც აფხაზური მხარე კვლავ პრეტენზიებით შეხვდა. თქვენი აზრით, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ამ მიმართულებით მხარეებს შორის დიალოგის გამართვას?

— პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაეროს ასამბლეის სხდომაზე რამდენიმე წლის წინათ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, გააკეთა განცხადება, რომელიც ეხებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმებსა და ამ მიმართულებით გასატარებელ პოლიტიკას. თუ როგორ წარმოუდგენია პრეზიდენტს პროცესების განვითარება და რა კუთხით ცდილობს კონკრეტული გეგმის შემუშავებას, ამას პოლიტიკური ტერმინოლოგიით „საგზაო რუკა“ ჰქვია. მაშინ ამ გეგმაში მიხეილ სააკაშვილმა სამი ეტაპი გამოყო, რომელთაგან პირველი ეტაპი მხარეებს შორის ნდობის აღდგენა-დაახლოებას, მეორე — ერთობლივი ეკონომიკური ურთიერთობების დან-

სებობის საიმისოდ, რომ შესაძლებელია პრეზიდენტის ახალი შეთავაზებების განხორციელება?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ის სამთავრობო გუნდი, რომელსაც საქართველოს მხრიდან ამ მიმართულებით უნდა ემუშავა, პრაქტიკულად შეიცვალა, მაგრამ რეალური შეთავაზება იმავე ტექნოლოგიით, რომელსაც აფხაზური მხარე გულში იზიარებს, მოხდა პირველად. მიხეილ სააკაშვილმა ამჟამად დააკონკრეტა მექანიზმები ორი ეტაპისთვის. ის, რომ აფხაზებს ვიცე — პრეზიდენტის მეშვეობით ეძლევათ ვეტოს დადების უფლება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ მოსწონთ, სერიოზული წინადადებაა. ასევე მნიშვნელოვანია თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის ინიციატივა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც ეკონომიკური თანამშრომლობის განსხვავებულ რეჟიმს ნიშნავს.

— აქვე გასათვალისწინებელია ის გარე ფაქტორები, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენას მუდამ ახდენს. საქართველოს სწრაფვა ნატოში ინტეგრაციისკენ მუდმივად არის რუსეთის



სჭირდება თუნდაც იმისთვის, რომ აფხაზეთი ლეგიტიმურად ჩართოს სოფის ოლიმპიადის მშენებლობაში. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მხარის მონაწილეობით თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნა თავად რუსეთის ინტერესებშიც შედის. საქართველოს პრეზიდენტის შეთავაზება თბილისისა და სოხუმის გარდა ამ საკითხის გარემო დაკავშირებულ სუბიექტებსაც ეხება.

— კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთის მხრიდან დათმობა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის გადადგმულ ნაბიჯს ხომ არ ჰგავს?

— თუკი საზღვარზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება წლების მანძილზე ვერ აკონტროლებს, იქ ერთობლივ საბაჟო პოსტს ამოქმედებს, რას ნიშნავს სათავისო? ერთობლივი საბაჟო ზუსტად ისეთივე წესებით იმუშავებს, როგორც სხვაგან. ძალიან კარგია, რომ ჩვენი საზღვარი ფსოზე და როკის გვირაბთან დაფიქსირდება.

— თქვენი აზრით, რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მისი დაგეგმილი მოლაპარაკებები?

— ვხედავ, რომ პროცესი პოზიტიური მიმართულებით ვითარდება. რუსეთი მიდის საკმაოდ სერიოზულ დათმობაზე, იმიტომ რომ მას საქართველო სჭირდება.

— ამის მიუხედავად, რუსეთი კვლავ საქართველოს ნატო-ში განწევრების მონიშნალობს. რუსეთის სჭირდება საქართველო, საქართველოს სჭირდება ნატო. ასეთ შემთხვევაში რისი იმედი უნდა გვექონდეს?

— მართალია, რუსეთი აგრესიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-ში განწევრებას, მაგრამ ნატო მას თავადაც სჭირდება. რუსეთს საშიშროება სამხრეთ საზღვრებზე აქვს ისლამური ფუნდამენტალიზმის სახით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ტერორიზმად გადაიქცა. ამ სასაზღვრო ზოლის გამაგრებას ნატო ახერხებს და რუსეთის ინტერესებში საქართველოს ნატოს წევრობა შედის, რათა მისი მეშვეობით ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბუფერი გაიკეთოს.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატო-ში საქართველოს გასწევრებას და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება აუცილებლობას არ წარმოადგენს, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ გლობალურ გეგმაში საქართველო ნატო-ში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე მოიაზრება და რუსეთის ინტერესებში სწორედ ეს შედის?

— არც ერთ შემთხვევაში. საქართველო საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაფიქსირებულია თავის საზღვრებში, რომელსაც რუსეთიც აღიარებს და საბაჟოს გვიხსნის იმ ორ ადგილას, სადაც ისინი დღეს არ არსებობს. საქართველო ნატო-ში ამ ფორმატით შევა. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ძალა ჩადგება, ჩვენ რომ ამ გაერთიანების წევრი ვიქნებით, მისი დონის საკუთარი ჯარი გვეყოლება. ეს მთელი პროცესია, რომელიც რუსეთმა საკუთარ თავში თავად უნდა გადახარშოს.

— თქვენი პროგნოზით, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირება რამდენი წლის

პერსპექტივაა, თუ გავითვალისწინებთ 2014 წლისთვის სოფის ოლიმპიადის, სადაც რუსეთის უზარმაზარ ფინანსურ პროექტში აფხაზეთის ინტერესებიც მოიაზრება?

— იმედი მაქვს, რომ ოლიმპიადის ჩატარებამდე ძალიან სერიოზული გარღვევა იქნება და 2014 წლიდან უკვე აფხაზეთის სტატუსზე იქნება საუბარი. იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, რა პროცესები წავა თავად რუსეთში, გაუძლებს თუ არა მედვედევს რუსული საზოგადოება, ჯერ უცნობია. ეტაპობრივად, დროის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთვის სერიოზული ხელისშემწყობი მექანიზმები არსებობს. თუ საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ წინადადებებზე აფხაზეთი, გარკვეულწილად, პასუხს გამოგზავნიან, ბევრი დეტალის დაკონკრეტება გახდება შესაძლებელი. არსებობს პოლიტიკა, რომელიც პიარ-კამპანია არ ითვალისწინებს და ქვეტექსტებს შეიცავს. ამ კონტექსტში საქართველოს პრეზიდენტის მიერ სერიოზული ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ეს არის შეთავაზება აფხაზეთის ყველა გულშემმატიკისთვის. აფხაზი რუსეთსა და მსოფლიოს სხვა დიდ ქვეყნებში დღეს იმაზე გაცნობიერებულია ცხოვრობს, ვიდრე ადგილზეა დარჩენილი. პირადად მე, იმ აფხაზეთთან ურთიერთობაც აუცილებელ პირობად მიმაჩნია და ასეთი შეთავაზება ცოტა ადრე რომ ყოფილიყო, ვიდრე რუსეთი აფხაზეთისადმი ეკონომიკურ ემბარგოს ცალმხრივად მოხსნიდა, ალბათ უკეთესი იქნებოდა.

— აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ნიშნავს თუ არა საქართველოს მხრიდანაც ასევე ემბარგოს გაუქმებას, რაც რუსეთმა არაერთხელ მოითხოვა?

— ჩვენ აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადა არც არასდროს გამოგვიცხადებია. ვთქვით, რომ ყველაფერი, რაც ამ ტერიტორიაზე შევა, უნდა შევიდეს საქართველოს საშუალებით. ამაზე უარს კი აფხაზეთის მხარემ თავად განაცხადა.

— უკვე რამდენიმე თვეა თქვენი ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს. საინტერესოა, რა საქმიანობა გასწიეთ ამ პერიოდში და რა ინიციატივების განხორციელებას გეგმავთ ნაკისრი ფუნქციების ფარგლებში?

— თსუ-ის ქართულ-აფხაზურ კვლევით სამეცნიერო ცენტრთან ურთიერთობის სურვილი გამოთქვა სოხუმის უნივერსიტეტის ერთმა თანამშრომელმა, რომელიც, მალე აფხაზეთიდან თბილისში ჩამოვა და ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ლექციას წაიკითხავს. ჩვენ აპრილიდან ვინც ვხვდებით სამეცნიერო სემინარების ჩატარებას, რომელიც დაინტერესებული სტუდენტების გარდა, მეცნიერთა აუდიტორიისთვისაც არის გათვალისწინებული. სემინარების ციკლის: „საუბრები აფხაზეთზე“ მოსამზადებლად უკვე შექმნილია ცენტრის საბაჟო რექტორის გიორგი ხუბუას, პროფესორების გიორგი ანჩაბაძის, რუსუდან ჯანაშიას, მერაბ ჩხოტუას, ნინო ჩიქოვანის, დავით პაიჭაძის, თამარ უჯუხუს შემადგენლობით. სემინარებზე საუნივერსიტეტო საზოგადოების გარდა მოვინვევთ კონფლიქტოლოგებს, პოლიტიკოსებს, იურისტებს, სპეციალისტებს, მათ შორის, აფხაზეთიდან. გვინდა შევქმნათ სტუდენტების გარკვეული წრე, რომლებიც საკითხებში უკეთესად გაერკვევიან. მათივე დაინტერესების მიხედვით ისინი სპეციალისტებთან ერთად ჩაერთვებიან ერთობლივ პროექტებში, რომელიც აფხაზეთის თანამედროვე ისტორიის საკითხებს მოიცავს. სტუდენტების დახმარებით ასევე ვაპირებთ აფხაზეთში სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებას. მათ მიერ მომზადებული კითხვარები აფხაზეთის მოსახლეობას დაურიგდება, პასუხგაცემული ანკეტების გაცნობისა და დამუშავების შედეგად კი ვნახავთ, როგორ აღიქვამს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს იქაური საზოგადოება. დასასრულს უახლოვდება აფხაზური მისამართების მონაცემთა ბაზის შედგენის პროცესი, რომელიც პირადად ურთიერთობების დამყარების მიზნით, ასევე, სტუდენტებს დაურიგდება. შესაძლოა, მომავალში ინტერნეტკონფერენცია მოვანყოთ, სადაც მონაწილეობას აფხაზები მიიღებენ.



ყვება და საერთო პრობლემების (კრიმინალი, კონტრბანდა, ნარკომანია და ა.შ.) ერთობლივად მოგვარებას, მესამე — პოლიტიკურ საკითხებზე დიალოგის გამართვას ეხებოდა. რა დროს მოიცავდა თითოეული ეტაპი, საუბარი არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კონფლიქტის დარეგულირებისკენ სწრაფვა დასაწყისშივე აღმოჩნდა. პრეზიდენტის შეთავაზება მოჰყვა, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ აფხაზეთმა გამოაქვეყნეს დოკუმენტი სახელწოდებით „ჩქრ-ჩქრ-ჩქრ“, სადაც ზუსტად ასეთივე ეტაპები იყო ჩამოყალიბებული. მესამე საკითხთან დაკავშირებით კი დოკუმენტის ბოლოში იყო მიხედვით, რომ ამ თემაზე ლაპარაკს აფხაზური მხარე არ აპირებს, რადგან აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივამ აფხაზებს ფიქრი დააწყებინა და მათთვის მისაღები გახდა პოლიტიკური გადაწყვეტილების გადავადების საკითხიც. ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი და მოხდა ისე, რომ ამ მიმართულებით ჩვენი მხრიდან არავითარი შემდგომი ნაბიჯი არ გადადგმულა.

— შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში „საგზაო რუკის“ განხორციელება მხარეებმა პრაქტიკულად ვერ მოახერხეს. თქვენი აზრით, რა გახდა ამის მიზეზი და რა გარანტია არ-

აგრესიის მიზეზი და ეს კიდევ დადასტურდა ბუქარესტში, სადაც საქართველოს MAP-ის მიღება გადაუდგა...

— ახალი შეთავაზება რეალურია და იგი მრავალ პრობლემას ეხმარება. ესენია: საქართველოს სწრაფვა ნატო-სკენ, რუსეთის სურვილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) განწევრებისა, ის, რომ რუსეთს ოლიმპიადის ჩატარება აფხაზეთის მახლობლად სურს, რაც, გარკვეულწილად, საქართველოზეც არის დამოკიდებული. რუსეთმა უკვე განაცხადა მზადყოფნა, რათა როკის გვირაბთან და ფსოზე ერთობლივი საბაჟო პუნქტები გაკეთდეს. კონკრეტულ პირობებზე მოსალაპარაკებლად კი მაგიდას მხარეები მაისში მიუსხდებიან. რუსეთს სურს მსო — ში შესვლა და უნდა, რომ ეს ჩვენი ნება იყოს. რუსეთის ამ ორგანიზაციაში განწევრებას საქართველო უშლიდა ხელს და მინდა გითხრათ, რომ რუსეთისთვის მსო-ში გაერთიანება წელიწადში 10-12 მილიარდი დოლარის მოგებას ნიშნავს და იგი ამ თანხას, დიდი ხანია, საქართველოს მიზეზით კარგავს.

— საქართველო წლების განმავლობაში ბლოკავს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განწევრებას და ახლა რამ განაპირობა რუსეთის მოულოდნელი ლოიალობა, როცა იგივეს გაკეთება რამდენიმე წლის წინაც შეეძლო?

— უბრუნდებოდა ფულმა. რაც დრო გადის, მით მეტად მატულობს რუსეთის ინტერესი. საბაჟო ურთიერთობები მას ასევე

საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი გადაწყვეტს

„რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა არ დაუშვას უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება“, — ეს რუსეთის ოფიციალური პოზიციის ბოლო სერიოზული განცხადებაა, რომელიც მსოფლიოს გასაგონად „ეხო მოსკვის“ ღია ეთერიდან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააუქმებინა: „ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ არ დავეშვათ უკრაინისა და საქართველოს მიღება ნატო-ში და ამით გამოწვეული ურთიერთობების გაუარესება ალიანსის წამყვან წევრებთან და ჩვენს მეზობლებთან“.

ამ განცხადებას კი წინ ნატო-ს წევრი ქვეყნების ბუქარესტში გამართულ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება უძღოდა, რის საფუძველზეც საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების (MAP) საკითხის განხილვა მიმდინარე წლის ბოლომდე გადაიდო. ექსპერტების აზრით, ნატო-ს ამგვარი გადაწყვეტილება სწორედ რუსეთის პოზიციას უკავშირდება. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაციის — „საქართველო ნატო-ში“ ხელმძღვანელი, პოლიტიკური ექსპერტი შპლპა ფიჩხაძე.

სამუნა ხატიანაშვილი

— საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხის განხილვის გადავადება მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც საქართველოსთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც. ამ გადაწყვეტილებამ, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ითქვამის, რომ ნატო-ს ასეთი გადაწყვეტილება ცუდს არაფერს ნიშნავს. თქვენ როგორ აფასებთ ამ ისტორიულ მოვლენას?

— MAP-ის შესრულება რომ ვერ დავინწყეთ, კარგი არ არის. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, დაგვეწყო. მოულოდნელი იმედგაცრუების საფუძველი კი, ალბათ, ის იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარ „მალადა ასწია თამასა“, თითქოს 2008 წელს ნატო-ს სამოქმედო გეგმას აუცილებლად მივიღებდით.

— საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიციის საფუძველი რეალობას მოკლებული იყო თუ საერთაშორისო არენაზე სერიოზული პოლიტიკური ცვლილება მოხდა?

— არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ რაც ბუქარესტში მოხდა, აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო ექსპერტებისთვის, რადგან ალიანსში გაწევრიანება „დიდხანს სავალი გზაა“, რომელიც უამრავ სახელმწიფოთა შორის ზოგმა უფრო სწრაფად გაიარა, ზოგს კი ვაცვილებით მეტი დრო დასჭირდა. მაგალითად, ბალკანეთის სამი სახელმწიფო: მაკედონია, ხორვატია და ალბანეთი გაწევრიანების სამოქმედო გეგმას უკვე 8 წელია ასრულებენ, ჩვენ კი ის ჯერ არც დაგვიწყია. ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რაც საქართველოსა და უკრაინისთვის დეკემბრისთვის გადაიდო, ნიშნავს მხოლოდ გასაწევრიანებლად საჭირო ოფიციალური პროცედურების დაწყებას. ვიდრე ქვეყანა არ ასრულებს MAP-ს, ის არ ასრულებს გაწევრიანების პროცედურებს და არ ითვლება კანდიდატ ქვეყნად. ამის მიუხედავად, ნატო-ს ოფიციალურ ლექსიკონში ტერმინი „კანდი-

დატი ქვეყანა“ არც არსებობს. დეკემბერში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ალზე სხდომა კვლავ განიხილავს, თუ რა პროგრესი ექნებათ საქართველოს და უკრაინას იმ მოთხოვნების თვალსაზრისით, რასაც ნატო უყენებს ამ ქვეყნებს და მას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოგვეცეს თანხმობა, რათა დავიწყეთ MAP-ის შესრულება.

— ხომ არ დააკონკრეტებდით მიზეზებს, რის გამოც, ამ ორ ქვეყანას არ მიეცა MAP-ის შესრულების უფლება?

— რამდენიმე მიზეზი არსებობს, მაგრამ შესაძლებელია მათი ორი ძირითადი კატეგორიად დაჯგუფება. პირველი ასახსნელად უნდა გამოვიყენო ტერმინი „კონიუნქტურა“, ე.წ. ძალთა გადანაწილება, რომელიც არსებობს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ნიშნავს, თუ რამდენად არის დაინტერესებული 26 ქვეყნის გაერთიანება — ნატო, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდეს? ალიანსის გაფართოების საჭიროების შესახებ ერთიანი აზრი ჯერ თავად ამ გაერთიანებაში ჩამოყალიბებული არ არის. ბალკანეთის სამ ქვეყანას, რომელთაგან ალბანეთს და ხორვატიას მიწვევა უკვე გაეგზავნათ, ალბათ მიიღებენ, მაგრამ საკითხავია, გაფართოების საჭიროების შემთხვევაშიც კი საქართველო და უკრაინა წარმოადგენენ მაინცდამაინც იმ ქვეყნებს, რომლებიც ალიანსში უნდა შევიდნენ?

— თქვენი აზრით, რა მსგავსება და განსხვავება არსებობს საქართველოსა და უკრაინას შორის, რითაც ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით ისინი მიმზიდველი ქვეყნები უნდა იყვნენ?

— ამ ქვეყნებს შორის ზოგადი მსგავსება ის არის, რომ ორივეს თავად აქვთ სურვილი, გახდნენ ამ ალიანსის წევრები. მსოფლიოში, დღეს, სულ 5 სახელმწიფო არსებობს, რომლებმაც ამის სურვილი ოფიციალურად გამოთქვეს, მათგან სამი წევრობის კანდიდატად ითვლება, ორი (საქართველო და უკრაინა) კი ჯერ მხოლოდ კარზე აკაკუნებს.

— არსებულ ფონზე ჩნდება კითხვა, რომელზეც პოლიტიკოსები და ექსპერტები ნაკლებად საუბრობენ. თავად ნატო-ს



ნინაშე რამდენად დგას ალიანსის გაფართოების ამოცანა?

— არსებობს მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატო-ს გაფართოების რამდენიმე სწრაფი ტალღა განხორციელდება, რომელთაგან ზოგიერთი გაუმართლებელიც კი იყო. ახლა საჭიროა მოცდა, მიხედ-მოხედვა, მსურველი ქვეყნების ინტეგრაცია, როგორც ოჯახის წევრობის მსურველთა გათავისება, რათა ნატო-მ თავად გადახედოს, რა საფრთხეები ემუქრება ალიანსს და მისი გაფართოება არის თუ არა ამის წინააღმდეგ ადეკვატური პასუხი. თუ ალიანსის წევრი ქვეყნები ჩათვლიან, რომ მორიგი ნაბიჯი ადეკვატურია, მაშინ ამ საკითხზე იფიქრებენ. ამასთან, დგება მეორე საკითხი — მაინცდამაინც საქართველოს და უკრაინის ხარჯზე უნდა მოხდეს გაფართოება? ეს ორი ქვეყანა, განვითარების მიხედვით, არის კი იმ დონეზე, რომ ნატო-ში შევიდნენ? ან სულაც — ღირს თუ არა ამ ორი ქვეყნის გულისთვის ალიანსის შიგნით შეიშალოს ძალთა ბალანსის დარღვევა? დღეს ნატო-ში გარკვეული ძალთა ბალანსი არსებობს და ეს რუსეთის „დამსახურებაა“. ევროპულ სახელმწიფოებს და ამერიკას რუსეთი უმდიდრესი უკიყინებს, რომ მას გააჩნია თავისი პასუხისმგებლობის სფერო მსოფლიოში, სადაც შედიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ანუ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ეს დასავლეთისთვის უნდა იყოს „ნათელი ხაზი“, რომელსაც არ უნდა გადამოაბიჯოს. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო მზად არის, ამ ენაზე ესაუბროს რუსეთს, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო რუსეთთან ასე სასაუბროდ მზად არ არის.

— ბუქარესტის უკანასკნელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ალიანსის შიგნით მთელი რიგი ქვეყნების პოზიციებზე დიდად არის დამოკიდებული საქართვე-

ლოს მომავალი და მხოლოდ აშშ-ის აქტიური მხარდაჭერა იმედისმომცემი ნაკლებად არის. ასეთ შემთხვევაში რას უნდა დაელოდოს საქართველო, თუნდაც დეკემბრისთვის?

— იქიდან გამომდინარე, რომ ნატო-ში უმნიშვნელოვანესი საკითხები კონსენსუსით წყდება, რამდენიმე სახელმწიფოს ყოყმანი, ამ თვალსაზრისით, უკვე საკმარისია, რათა საკითხის განხილვა შეჩერდეს. არსებობს ამერიკის გლობალური ინტერესები, რომელსაც ევროპა არ იზიარებს. აშშ-ის ინტერესი კავკასიაში არ არის თანაზომადი ევროპის ინტერესებთან. ასეთი განსხვავება გამოწვეულია ნაწილობრივ იმით, რომ ევროპის დიდი ნაწილისთვის რუსეთი, როგორც დიდი, საერთო მტერი, გაქრა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ სახელმწიფოებს აერთიანებდათ საერთო მტრისგან გარკვეული ღირებულებების: თავისუფალი ბაზრის, არჩევანის თავისუფლების, ადამიანის უფლებების დაცვის სურვილი და ნატო, თავის დროზე, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. დღეს ზოგიერთ სახელმწიფოს რუსეთი ძალიან კარგ პარტნიორად მიიჩნია, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სფეროში და ისინი არ გრძობენ დისკომფორტს იმის გამო, რომ მხოლოდ რუსეთზე არიან დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოზიცია განჭვრეტადი მომავლის დინამიკობაში არ შეიცვლება, ევროპაც დიდხანს იქნება დამოკიდებული რუსეთის ენერგეტიკულ სფეროზე, ნატო ჩვენი მაინც გვეუბნება, რომ ალიანსის წევრები გაეხდებიან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მომავალი რაღაც ცვალებადზეა დამოკიდებული.

მაინც რაზე?

— საჭიროა წავიკითხოთ დასკვნითი პარაგრაფი, რომელსაც ნატო-ს ბოლო სამიტის მიერ მიღებული კომუნიკე შეიცავს — ნატო დააკვირდება საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. ეს, ჩემი აზრით, ნიშნავს, რომ იმოქმედებენ იმის მიხედვით, რა შეფასებებიც გაკეთდება არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. ნატო-ს არ გააჩნია საკუთარი მისია ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების შესაფასებლად, როგორც არის არჩევნები, ადამიანის უფლებები, სახელისუფლებო შტოებს შორის დამოკიდებულება... მაგრამ ამ საკითხებში ის ევროდნობა ხოლმე სხვა, მასზე არანაკლებ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, მათ შორის: ეუთოს, ევროსაბჭოს და ა.შ. თუ საქართველო გახდება უფრო დემოკრატიული, ნატო ჩათვლის, რომ ეს ის სახელმწიფოა, რომლისთვისაც ღირს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების ხარჯზე ჩვენი ალიანსში მიღება. ვფიქრობ, დღეს ისინი დარწმუნებული არ არიან, რომ საქართველო ის სახელმწიფოა, რომლის გამოც შეიძლება რუსეთთან აწყობილი კომფორტული თანაცხოვრების დარღვევა.



ბაირონის პოეზიის საღამო

21 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 46-ე ჯგუფის სტუდენტებმა: ნინო ქუთათელაძემ, გიორგი გვარამაშვილმა, ანა ჭოლოკავამ, თამარიკო როსტიაშვილმა, ქეთევან ჩიღვინაძემ, ირინა მებრძოვიძემ და მიხეილ ხურციძემ ჯგუფის ტუტორის, პროფესორ თანა თოლორდავას ხელმძღვანელობით ბაირონის პოეზიის საღამო გამართეს, რომელზეც ჯორჯ ბაირონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო დეტალები გაიხსენეს და მისი პოეზიის ნიმუშები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე წაიკითხეს. ღონისძიება უფრო საინტერესო გახდა სტუდენტების მიერ მომზადებული თვალსაზრისით. მათ წარმოადგინეს კომპიუტერულად დამუშავებული ლორდ ბაირონის, მისი ქალიშვილისა და ახლობლების ფოტოები, ასევე პოეტის ხელნაწერები,

რომელთაც ეპოქის შესაბამისი მუსიკაც მიუსადაგეს. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ჯამლეტ ჯანჯღავამ აღნიშნა, რომ სტუდენტების ასეთი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად განათლებული და ერუდირებული სპეციალისტი ყალიბდება. საღამოს ესწრებოდნენ — ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეტ ჯანჯღავა, დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ლარისა ყორღანაშვილი, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი კახაბერ ქუთათელაძე, ფაკულტეტის დამსახურებული პროფესორი პავლე გარუჩავა, ცნობილი ქართველი ბაირონოლოგი ინესა მერაბიშვილი, თინა ავალიშვილი და სხვები. სამომავლოდ ფაკულტეტზე სხვადასხვა სახის ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზება იგეგმა.

ქალაქური სიმღერის საღამო

აპრილის ნათელმა დღეებმა სიმღერის ხასიათზე დააყენა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც 4 აპრილს კულტურისა და სპორტის სააქტო დარბაზში „ქალაქური სიმღერის საღამო“ გამართეს. როგორც სტუდენტებმა განაცხადეს, კონცერტის გამართვის იდეა ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის, გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ წევრის დიანა ლიპარტილიანის იდეა იყო, რომელმაც თანატოლებს საშუალება მისცა — თავიანთი შესაძლებლობები პირველად მოეხიზნათ „დიდ სცენაზე“. ღონისძიების მონაწილეებს მიმართეს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა: მარიამ ასანიშვილი და ლაშა ყარალაშვილი. აღინიშნა, რომ ქართული ქალაქის ტრადიციები განსაკუთრებით კარგად ჩანს ქალაქური სიმღერების ჰანგებში, რომლებიც იმთავითვე შეიყვარა მსმენელმა და დროსაც გაუძლო. როგორც „ახალგაზრდა იურისტის“ ერთერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, უნივერსიტეტის საიუბილეო წელიდან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია კიდევ მრავალ, ლამაზ და საინტერესო ღონისძიებას პირდაპირ სტუდენტებს.



სტუდენტური კლუბი Press

8 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება

პირველი გვერდიდან



არჩევნები მოდის. ის გუნდი, რომელიც ახლა არის თვითმმართველობაში, შეინარჩუნებს თუ არა ძალაუფლებას? ამის წინაპირობა თუ არსებობს?

ძველი თვითმმართველობის ხელმძღვანელები, ბუნებრივია, ვტოვებთ თვითმმართველობას და ასპარეზს ახალ თაობას ვუთმობთ. საუბარია პირველ, მეორე და მესამე კურსელებზე, რომლებიც, ალბათ, შეინარჩუნებენ ავტორიტეტს თვითმმართველობაში. ისინი საკმაოდ მოტივირებული ახალგაზრდები არიან და საქმის კეთების დიდი სურვილიც ამოძრავებთ. ეს სტუდენტები თვითმმართველობასთან დადებით ხანია თანამშრომლობენ და სერიოზული ღონისძიებების ორგანიზებაშიც არაერთხელ დაგვეხმარნენ. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი სტუდენტური თვითმმართველობა ჩვენზე უფრო აქტიური, უფრო მეტად ორგანიზებული იქნება. მთავარია, ბაზისი შევქმენით და დღეს უკვე არის იმის საშუალება, რომ უფრო თავისუფლად, უფრო გახსნილად იმოქმედონ.

რა ვერ გააკეთა ამ თვითმმართველობაში?

მიმაჩნია, რომ თვითმმართველობის ყველაზე დიდი პრობლემა გახლდათ სტუდენტების ინფორმირება ჩვენი ორგანიზაციის

საკმიანობაზე. ჩვენ ვერ მოვახერხეთ აგვეხსნა თითოეულისთვის — რას ვემსახურებოდით, რა იყო ჩვენთვის პრიორიტეტი, რა ღონისძიებებს ვატარებდით... ანუ ყველა სტუდენტს ვერ შევძელით ბოლომდე მისვლა. დღემდე რეალურად არსებობს სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც არ იცნობს თვითმმართველობის საკმიანობას — ამას შეცდომას ვერ დავარქმევ, თუმცა ინფორმაციის დეფიციტი ჩვენს პრობლემად მართლაც იქცა.

სურვილი თუ გქონდათ, რომ თვითმმართველობის სტუდენტთა გარდა სხვათა პრობლემებიც მოგესმინათ და მათ დახმარებოდით. ზოგიერთისგან მომისმენია პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენ მხოლოდ თვითმმართველობის წევრებზე ზრუნავთ...

ნამდვილად არ მინდა, ბრალმდებლის როლში გამოვიდე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობის საკმიანობაში იმდენივე რაოდენობის სტუდენტებს პრეტენზიის უფლება არ აქვთ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არავინ არასდროს არ მოგიტანს დადებით ლუკმას და პირში თავად არ ჩაივდება. თუ პრობლემა გაქვს ან რაღაც საკითხი გაინტერესებს, უნდა ჩაიძიო მას და უნდა მიყვებოლომდე... ძალიან ბევრს განძრევა ეზარება და ჩვენამდე არც მოდის — ეს როგორც თვითმმართველობის, ისე სტუდენტების პრობლემაა.

არ შეიძლება სტუდენტურმა თვითმმართველობამ ყველაფერზე ერთდროულად იფიქროს. მე ამით თვითმმართველობას პასუხისმგებლობას კი არ ვარიდებ, არამედ მინდა, სტუდენტებს მეტი აქტიურობისკენ მოვეუწოდო.

თვითმმართველობა ხომ არ მოიაზრება სახელისუფლო გუნდად და ამიტომ ხომ არ იკავებს თავს ბევრი, რომ მოგმართოს... ხომ იციან, საზოგადოების მენტალიტეტი ყველაზე ერთნაირია...

ჩვენი მოაზრება ხელისუფლებასთან უკავშირდება იმას, რომ ჩვენ აქტიურად ჩაერთეთ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ წინასაარჩევნო მოძრაობაში. ეს მაშინაც განვმარტეთ, რომ ჩვენ მიხეილ სააკაშვილისთვის მხარი თვითმმართველობის სახელით არ დაგვიჭერია. ეს გადანყვებილება მივიღეთ როგორც პიროვნებებმა. უნივერსიტეტის შიგნით პოლიტიკური აგიტაცია არ გვინარმოვებია. ჩვენი მოქმედება უნივერსიტეტისგან სრულიად გავმჯდნეთ და დამოუკიდებლად შევეცადეთ მხარდაჭერა გამოგვეთქვა კონკრეტული საპრეზიდენტო კანდიდატისადმი.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ აქტიურობას, თვითმმართველობის საკმიანობა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე იყო ორიენტირებული. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ თვითმმართველობა რაღაც კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს ემსახურებოდეს, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის საკითხებში ჩვენი მონაწილეობა მართლაც აუცილებელია.

სტუდენტები ამბობენ, რომ თქვენ სახელისუფლო ბერკეტების მფლობელი გახდით, დიწყით მუშაობთ... აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვითმმართველობა ხელისუფლებისთვის კადრების ერთგვარი სამჭედლოც არის?

არა, ეს ჩვეულებრივი პროცესია. ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებმაც სტუდენტობის პირველი ეტაპი გაიარა. მე მაგისტრატურის სტუდენტი ვარ და შესაბამისი განათლებაც მაქვს. ამაში მუშაობა და ვინცე თბილისის მერიის ახალგაზრდულ განყოფილებაში, მაგრამ თითოეული ჩვენგანის დასაქმება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი დაკომპლექტება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ეს არის ჩვენი საკმიანობის შედეგი. ჩვენ უნივერსიტეტის კორიდორებში და ვინცე საკითხებზე, რათა რაღაც შეგვეცვალა, რაღაც სიახლე შემოგვეტანა... ამას, ჩვენდა სასიხარულოდ, დაემთხვა „გარდებიის რევოლუცია“, განათლების რეფორმა, უნივერსიტეტში საკადრო ცვლილებები და ყველა ამ პროცესში ჩვენი წვლილი შევიტანეთ. მიმაჩნია, რომ ამ ოთხ წელიწადში უნივერსიტეტში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ბოლომდე კმაყოფილი, ვუნებრივია, არავინაა, მაგრამ დღეს საქმის კეთების რეალური მოტივაცია და სურვილი არსებობს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც მონდომებულია, რომ რეფორმების შედეგად დავეახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს და, შესაბამისად, იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.

რამდენიმე ხნის წინ თვითმმართველობის ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით თქვენმა ოპონენტებმა განცხადებები გააკეთეს. რამდენად სამართლიანი იყო მათი შენიშვნა და რა ხარჯებზეა საუბარი?

შემიძლია თამამად გითხრა, რომ ბიუჯეტი მიზნობრივად დაიხარჯა. თვითმმართველობის ბიუჯეტის ცნება პირობითია, ეს არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი, რომელსაც მთლიანად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განკარგავს. შესაბამისად, თანხები

ის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით ჩვენი დადანიშნულება აბსურდულია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ჩვენ პროექტებს წარუდგენთ, რომლის ფინანსირების საკითხსაც შესაბამისი სტუდენტურა წყვეტს.

ამ ბრალდებებს ჩვენ პოლიტიკურად ან გააფრებული სტუდენტები გვიყენებდნენ, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ ბიუჯეტის განკარგვის თაობაზე. ისინი მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და მალე თავიც დაგვანებეს.

თუ შეგიძლიათ ვრახუდით მაინც დაასახელოთ, ვინ შეიძლება გახდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი? გყავთ თუ არა მემკვიდრე?

არავითარ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე საუბარი არ არის. ეს არის უნივერსიტეტი და არჩევანს სტუდენტები აკეთებენ. შესაბამისად, არჩეული თვითმმართველობა აირჩევს ხელმძღვანელს, თუმცა ჩვენ გვყავს ჯგუფი სტუდენტებისა, რომელთაც დიდად ვუჭერთ მხარს. გვყავს ფავორიტიც, რომელსაც პრეზიდენტად მოვიარებთ. ეს გახლავთ გიორგი შამათავა, რომელიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ვთვლით, რომ იგი ღირსეული კანდიდატი იქნება.

სახელისუფლო სტრუქტურებიდან, სადაც დასაქმდით, ხომ არ აპირებთ ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მართვას, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებსთვის მითითებების მიცემას?

მართა — ეს ცოტა უხეში ნათქვამია. სტუდენტს ვერავინ მართავს, თუმცა თანამშრომლობას სტუდენტებთან ნამდვილად ვაპირებთ.

ამის გამო მაინც ხომ არ დააბრალებენ ახალ თვითმმართველობას ხელისუფლებიდან იმართებო?

ჩვენი ოპოზიციის ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ისაა, რომ კრიტიკის გარდა არაფრის კეთება არ უნდა. საქმეს აკეთებდნენ სახელმწიფო სტრუქტურები და არასამთავრობო სექტორი. სტუდენტის დახმარება თუ გინდა, უნდა მიმართო ან სახელმწიფო სტრუქტურას ან არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც კონკრეტულ პროექტებს ახორციელებენ. ამდენად, მათთან თანამშრომლობა აუცილებელიც კია.

მე ყველას მოვუწოდებდი, იმ ოპოზიციასაც, რომელიც გვყავდა, რომ თავი დაანებეთ ლანძღვა-გინებას. მოდით და ერთად გავაკეთოთ კეთილი საქმე. დაშვებულ შეცდომებზე მერე ერთად ვილაპარაკოთ, შორისდან ქილიკი არავის არაფერში წაადგება.

სტუდენტების უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზენტაცია თსუ-ში

11 აპრილს თსუ-ის სარეზიდენტო სახელობის აუდიტორიაში სტუდენტების უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც ორგანიზაციის წევრებმა ასოციაციის წესდება წარმოადგინეს.

შურისხანა გაროშვილი

ორგანიზაციის თავმჯდომარის, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის მახარე მერებაშვილის ინფორმაციით, ასოციაცია საბოლოო სახით 2007 წლის 22 დეკემბერს ჩამოყალიბდა და იგი უახლოეს ხანში ოფიციალურად დარეგისტრირდება.

როგორც სტუდენტების უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზენტაციის კოორდინატორმა ნატალია გოქაძემ საუბარში განაცხ-

ადა, მათი მთავარი მიზანია სტუდენტების უფლებათა დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი კანონით დადგენილ ფარგლებში ყველა საშუალებას გამოიყენებენ.

„უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უცხო არ გახლავთ დეკანატების კარებთან დაბნეულ სტუდენტთა სიმრავლე, არც ის, რომ მათ ერთი კაბინეტიდან მეორეში აგზავნიან და შეკითხვებზე არაფერს პასუხობს. თითოეული ჩვენგანი ერთხელ მაინც ყოფილა ამგვარ სიტუაციაში. მართალია, სასურველი არ არის, რომელიმე ინსტანციას მოუწოდო, აკეთოს ის, რაც ევალება, მაგრამ არც ის არის დასაძალი, რომ ხანდახან ამის აუცილებლობა ნამდვილად არსებობს. სტუდენტების უფლებები ხშირად ილახება. ჩვენი ასოციაციის შექმნის მიზანი სწორედ სტუდენტების უფლებების დაცვაა“, — აღნიშნა ნატალია გოქაძემ.

ასოციაციის წევრთა განცხადებით, მათი დამსახურებაა, რომ უნივერსიტეტში სარეიტინგო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდეს.

„ჩვენითვის პრობლემას წარმოადგენდა აკადემიური საბჭოს დადგენილება 33 სარეიტინგო სისტემის შესახებ, რომელიც დაბალი რეიტინგის შემთხვევაში სტუდენტის გარიცხვას ითვალისწინებდა. ჩვენ დაპროტესტდით დადგენილების II—IV კურსებზე გავრცელებას. ამ საკითხზე მოლაპარაკებას ვანარმობდით სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან თინათინ მარგალიტაძესთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ირინა დარჩიასთან. ასევე, მოხსენებთი ბარათი დაგწერეთ უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას სახელზე. ამჟამად

სარეიტინგო სისტემა შეჩერებულია“, — აღნიშნეს ასოციაციის წევრებმა.

მათი თქმით, სტუდენტების უფლებათა დაცვის გარდა, ასოციაციის მიზანი სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისებაც იქნება.

სტუდენტების უფლებათა დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე მახარე მერებაშვილს სტუდენტებისთვის არც ეს დაუშვავს, რომ იგი საკუთარი ძალების მოხინჯვას სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებშიც აპირებს. შეკითხვაზე, ხომ არ უკავშირდება ასოციაციის შექმნა საპარლამენტო არჩევნების მოახლოებას, მახარე მერებაშვილმა უპასუხა, რომ ასოციაცია პოლიტიკური ორგანიზაციაა და ისინი პოლიტიკაში მართლაც არც ახლა და არც მომავალში არ აპირებენ.

მინიმალური თანხებით მაქსიმალური შედეგები მივიღოთ

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან თეონა ჭალიძესთან

ინტერვიუ

— თვითმმართველობის არჩევნებიდან ორი წელი გადის და საინტერესოა, ამ ხნის მანძილზე რა გააკეთა თვითმმართველობამ და რამდენად გაამართლა ის იმედები, რის გამოც შეიქმნა იგი?

— ჩვენ ვართ პირველი სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის არჩევნებშიც, დაახლოებით, 8000 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა — ეს, თავისთავად, უკვე საამაყო ფაქტია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თავი გავართეთ დაკისრებულ მოვალეობას. მე, კონკრეტულად, გესაუბრებით კულტურის დეპარტამენტის საქმიანობაზე, რასაც ვუყვარები. ამ პერიოდის განმავლობაში მინიმალური თანხებით მაქსიმალური შედეგები მივიღეთ. ბევრი ისეთი ღონისძიება გვაკეთეთ, რაც აქამდე არ გვაკეთებულა. მათში მონაწილეობის სურვილს იმდენი სტუდენტი გამოთქვამდა, რომ ყველა ვერც ჩავრთეთ.

— თქვენი დეპარტამენტის მიმართ გასმულა ხოლმე ბრალდებები, რომ სახელისუფლო გუნდის დაკვეთას ასრულებთ, რომ არაერთი ღონისძიება მიუძღვნით, ასე ვთქვათ, სახელისუფლო რეიტინგის ზრდას და ა.შ. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს? იღებდით თუ არა მათგან რაღაც დახმარებას?

— ჩვენ ვცდილობდით, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობას სიმბოლური როლი მიანიჭო შეესრულებინა კონფლიქტის დარეგულირებაში და მეგობრული ურთიერთობებში ჩამოგვეყალიბებინა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან. ბევრი აქცია გავმართეთ დევიზით „საქართველო იქნება ერთიანი“ და თუკი საქართველოს ერთიანობისთვის დაკავებულნი ვართ, მაშინ — კი ბატონო, ვიტყვი, რომ ხელისუფლების საქმეს ვაკეთებდით. მაგრამ ჩვენ მართლაც გვჯერა, რომ საქართველო იქნება ერთიანი და ოს ახალგაზრდებთან ერთად გავიკვლავთ გზას მშვიდობისკენ.

რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს — „სტუდენტურ რთველს“ გურჯაანის რაიონში და შემდეგ კი „ვაშლის კრეფას“ სამაჩაბლოში, თავიდან ბოლომდე მათი ინიციატორები ჩვენ ვიყავით. დაგვეადა იდეა, რომ საქმესაც გავაკეთებდით და თან ვიხალისებდით. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კახეთში ჩვენი ტრანსპორტირება უზრუნველყო, სამაჩაბლოში გადაადგილებაში კი ადგილობრივი მთავრობის ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი დაგვეხმარა — ეს, მგონი, საგანგაშო არ უნდა იყოს.

— ზოგიერთი სტუდენტი ამბობს, რომ თვითმმართველობის წევრები უნივერსიტეტში იმაზე მეტი კრივილეგიებით სარგებლობენ, ვიდრე კრედიტით. არის თუ არა ეს მართლაც ასე?

— შემძლია ჩემს თავზე ვილაპარაკო და

გითხრათ, რომ არანაირი პრივილეგია არ არსებობს ჩემთვის. უბრალოდ გეტყვი, რომ როდესაც სტუდენტური თვითმმართველობაში ხარ, სტუდენტებისა და საკუთარი თავის მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაქვს. ვფიქრობ, ჩვენ მაგალითის მიმცემი უნდა ვიყოთ სხვისთვის.

— თვითმმართველობა ზოგისთვის სახელისუფლო რგოლად მოიაზრება... თქვენ რას იტყვით ამასზე?

— თვითმმართველობაში 265 სტუდენტი და ყველა თავისი ინტერესები და შეხედულებები აქვს. ჩვენ ისეთ პერიოდში გვიხდება სტუდენტობა, როდესაც ქვეყანაში ძალიან აქტიური პროცესები მიმდინარე-



ობს. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი რეაქციები გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელისუფლო ინტერესებს ვიცავთ.

— თვითმმართველობა სტუდენტების პრობლემებს თუ იხილავს? თუ ეხმარებით მათ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში?

— ყველა სტუდენტს, რომელმაც ჩემს დეპარტამენტს მომართა, დახმარება აღმოუჩინეთ. მაგალითად, თუ ვინმეს გამოუყენის მოწყობა ან ღონისძიების გამართვა უნდოდა, ვასწავლიდით — როგორ მოქცეულიყვნენ. თუ ვინმეს რაიმე იდეა განსახორციელებელი ჰქონდა, ვეხმარებოდით და, რაც მთავარია, მათ იდეებს არ ვიპარავდით. მახსოვს მე როგორ მომექცნენ, როცა სატელევიზიო პროექტი მომპარეს და ვიცე — რა ცუდია იდეის წართმევა. ჩვენ-

თან ეს სტუდენტებს არ ემუქრებათ, რადგან პლაგიატები არ ვართ. გარდა ამისა, ჩვენს ღონისძიებებშიც ჩაგებით ბევრი სტუდენტი და თვითრეალიზაციის საშუალება მივეცით.

— რამდენად ხშირად აწყობთ დისკუსიებს პოლიტიკურ თემებზე?

— სიმართლე გითხრათ, დისკუსიებს არ ვაწყობთ. როდესაც ქვეყანაში მტკივნეული პროცესები ვითარდება, მაშინ ყველა აქტიურობს, ყველა თავის აზრს გამოხატავს. მაგალითად, აფხაზეთში სტუდენტების და შემდეგ ჟურნალისტის დაკავებასთან დაკავშირებით, დე ფაქტო ხელისუფლების არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენ ყოველთვის

უნივერსიტეტში აქტიურად მომუშავე სტუდენტები?

— თუ აქტიური და საქმის გამკეთებელი ხარ, მაშინ ყველასთვის სასურველი კადრი იქნები, თუმცა თვითმმართველობას კადრების სამჭედლოს მაინც ვერ დავარქმევ. მაგალითად, ჩემთვის ჯერ არავის არაფერი შემოუთავაზებია.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა დეპარტამენტმა დააფუძნა სტუდენტთა ანტინარკოტიკული მოძრაობა, რომელიც, ვფიქრობ, ახალგაზრდობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ თემასთან დაკავშირებით ხშირად ვმართავთ ღონისძიებებს. მაგალითად, I დეკემბერს შიდასთან ბრძოლის დღესთან დაკავშირებით რამდენიმე ეტაპიანი ღონისძიება მოვანწყვეთ. კარგი იქნება, თუ ამ ინიციატივას მომავალშიც გააგრძელებენ.

— თქვენ აღარ იქნებით ახალ თვითმმართველობაში?

— მე კენჭისყრას აღარ ვაპირებ, რადგან თვითმმართველობა დიდი პასუხისმგებლობა და ერთგვარი თავის ტკივილიც არის, რომელიც მოითხოვს დიდ დროს, ენერჯიას, სახსრებს...

— თვითმმართველობას ხომ აქვს თავისი ფინანსები?

— რა თქმა უნდა, თვითმმართველობას აქვს თავის ბიუჯეტი და ზოგ ჰგონია, რომ თვითმმართველობაში სტუდენტები ხელფასებს იღებენ. ძალიან გული მწყდება, როცა ასეთ რაღაცას ვიგებ. მინდა გითხრათ, რომ თვითმმართველობის ღონისძიებათა განსახორციელებლად მართლაც სერიოზული თანხები გამოყოფილია, მაგრამ ამ თანხებით ჩვენ არასდროს გვისარგებლია.

ზოგჯერ კონკრეტული პროექტის ორგანიზატორს რა თანხაც სჭირდება, იმასაც ვერ იღებს. ეს საკითხი არც კი განიხილება და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ შემუშავდება ისეთი მექანიზმი, რომელიც ამას უზრუნველყოფს.

ამ ორი წლის მანძილზე ჩვენმა დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გამართა: ხშირად ვაწყობდით სტუდენტთა ნამუშევრების — ხელნაკეთი ნივთების, ნახატების გამოფენა-გაყიდვას. აქედან შემოსული თანხა ეკლესიების მშენებლობას მოხმარდა. ვიყავით ფერიას მთაზეც, სადაც ხატები ჩავაბრძანეთ. გურიამში, სოფელ ოჩხამურში აქცია-კონცერტი გავმართეთ ოჩხამურის ეკლესიის დასახმარებლად. ასევე, ქარელში, სოფელ ზღუდერში, ეკლესიის დასახმარებლად დიდი აქცია მოვანწყვეთ. აზერბაიჯანის საელჩოსთან, როდესაც საინგილოს წმიდა გიორგის სახელობის ქურმუხის ეკლესიის კარები აჭედდა, ჩვენ საპროტესტო გამოსვლა გვქონდა. გავმართეთ საქველმოქმედო აქციები ზაფხულში სახსრების დასახმარებლად, ისინი უნივერსიტეტშიც მოვიწვიეთ და ახლა ბევრი მათგანი უნივერსიტეტის სტუდენტობაზე ოცნებობს. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებებია.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ

11 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.



თეიმურაზ შენგელია

კონფერენციის ორგანიზატორი იყო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრა (ხელმძღვანელი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ შენგელია).

გამარჯვებული ნაშრომებისთვის სამეცნიერო კონფერენციის სპონსორმა, აუდიტორი კომპანია „ბაკაშვილი & CO“-ს დამფუძნებელმა ნიკო ბაკაშვილმა სოლიდური პრიზები დაანება.

კონფერენცია ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. 45 სტუდენტმა წარმოადგინა 24 მოხსენება, რომელთაგან ბევრი აქტუალობითა და პრეზენტაციული სახით გამოიჩინა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თემებმა: „ოფორული ბიზნესის ზოგადი დახასიათება და მისი ტენდენციები საქართველოში“, „სასტუმრო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, „თანამედროვე ბიზნესის ეკოლოგიური ასპექტები“, „კომერციული ბანკების რისკების მენეჯმენტი“ და სხვ.

კონფერენციის ორგანიზატორმა თეიმურაზ შენგელიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ მასშტაბის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად ტარდება. „ეს არ არის კლასიკური სამეცნიერო კონფერენცია, აქ წარმოდგენილი პროექტები ბიზნესის ადმინისტრირების სისტემაში,

რომელიც აპრობირებულია დასავლეთის პრაქტიკაში.

წარმოდგენილი პროექტები მაღალი დონისაა. სტუდენტებმა დაამუშავეს ფართო სპექტრის საკითხები, დაწყებული სარეკლამო ბიზნესის განვითარების ტენდენციებიდან, დასრულებული ფოთის ეკონომიკური ზონის და ოფორული ზონების განვითარების პრობლემატიკით. კონფერენცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში მონაწილეობენ როგორც IV, ასევე II კურსის სტუდენტებიც. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ, რომ ასეთ მუშაობას სტუდენტები II კურსიდანვე მივაჩვიოთ და IV კურსზე უკვე ჩამოყალიბებული ბიზნესმენები გვეყოლება. ამას წინათ 14 ამერიკელი პროფესორი იყო ჩამოსული საქართველოში და მათ მოინახულეს სწავლების ის მეთოდიკა, რომელიც დანერგილია თსუ-ის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით“, — განაცხადა თეიმურაზ შენგელიამ.

ჟიურის ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ჯამალეტ ჯანჯღავა. სათანადო განხილვის შემდეგ პრიზები ასე გადანაწილდა:

I ადგილზე გავიდნენ და 1000 ლარი პრემია გადაეცათ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები — თამარ კალანდარიშვილსა და მაია დვალს

თემისთვის „სასტუმრო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში (ხელმძღვანელი — პროფესორი თეიმურაზ შენგელია);

II ადგილზე დასახელდა და 700 ლარი პრემია გადაეცა II კურსის სტუდენტს ქეთევან ადიშვილს თემისთვის „მოტივაცია, მოტივაციის თეორიები“ (ხელმძღვანელი — პროფესორი ვახტანგ ანთია);

III ადგილზე გავიდა და 500 ლარი გადაეცა IV კურსის სტუდენტს ჯუანშერ ჯაფარიძეს თემისთვის „პლასტიკური ბარათი — მეტი კომფორტი თქვენს ცხოვრებაში!“ (ხელმძღვანელი — პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი);

კონფერენციის ჟიური და სტუდენტურმა თვითმმართველობამ სპეციალური განხილვის შემდეგ გამოავლინეს ის სტუდენტები, რომლებიც ერთი წლის მანძილზე 100 ლარიან სტიპენდიას მიიღებენ. ესენი არიან III კურსის სტუდენტი ქეთევან დუდუშაური თემისთვის „კომერციული ბანკის რისკების მენეჯმენტი“ (ხელმძღვანელი — პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი) და II კურსის სტუდენტი გიორგი კახაბრიშვილი თემისთვის „ოფორული ბიზნესის მექანიზმი“ (ხელმძღვანელი — პროფესორი შოთა შაბურდია).

გამარჯვებულები საფაკულტეტო საბჭოს სხდომაზე დაჯილდოვდებიან.

„რელიგია და პოლიტიკა“

სტუდენტური კონფერენცია

10 აპრილს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის მხარდაჭერითა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის თეონა ლავრელაშვილის ხელმძღვანელობით კონფერენცია — „რელიგია და პოლიტიკა“ გაიმართა.

ხათუნა ხატიასვილი

დასახელებული თემატიკის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებულმა ჟიურიმ სტუდენტების მიერ მომზადებული 20-ზე მეტი ნაშრომიდან 10 საუკეთესო ამოარჩია, რომლებიც ავტორებმა სტუდენტურ კონფერენციაზე წარმოადგინეს.

იქიდან გამომდინარე, რომ რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა, ის თანამედროვეობაშიც აქტუალურ თემად რჩება. სწორედ ამიტომ სტუდენტური კონფერენციის ორგანიზატორებმა დაინტერესებულ აუდიტორიას სამეცნიერო ნაშრომების მოსამზადებლად „რელიგია და პოლიტიკა“ შესთავაზეს. როგორც აღინიშნა, საკონფერენციო თემამ დაინტერესება თავად სტუდენტებშიც გამოიწვია. ნაშრომები ძირითადად I და II კურსელებმა მოამზადეს.

„ვფიქრობ, რომ სტუდენტური კონფერენციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტის აზროვნების განვითარებას. რამდენადაც მას უშუალო კავშირი აქვს აუდიტორიასთან, ამდენად პრეზენტაციის უნარი უფიქრადება. მათ მიერ მომზადებული ნაშრომების შეფასებისას, ჟიურის წევრებმა სწორედ ამას ვითვალ-

ისწინებთ და შესაბამისი კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში და ხელი შეუწყონ მათ ინტეგრირებას თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მიგვაჩინია, რომ ჩვენ — სტუდენტები, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა და პროცესის ეპიცენტრში უნდა ვიყოთ,“ — აღნიშნა კონფერენციის ორგანიზატორმა თეონა ლავრელაშვილმა.

კონფერენციაზე ჟიურის მიერ შეფასებული 10 საუკეთესო ნაშრომი თავად ავტორებმა: ნოდარ ჩაჩანიძემ, ხათუნა კორთხონჯიამ, ეკატერინე დონიჯაშვილმა, მირანდა გაბუნია, თამარ გელაშვილმა, მაია ფიფიამ, თიკო ჯანჯღავამ, გიორგი კვიციანიძემ, საბა ფიფიამ, მარიამ დიაკონიძემ წაიკითხეს.

თითოეული ნაშრომის შესახებ ჟიურისა და სტუდენტებისთვის საინტერესო შეკითხვებზე დისკუსია გაიმართა, რის შემდეგაც ჟიურიმ წარმოდგენილი თემები შეაფასა და საუკეთესო სამი ავტორი დაასახელა, რომლებსაც საპატიო დიპლომები გადაეცათ. საუკეთესო სამეცნიერო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი საბა ფიფია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი თამარ გელაშვილი და იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნოდარ ჩაჩანიძე მოხვდნენ. თეონა მრელაშვილის განმარტებით, შეფასებისას ჟიური ორიენტირებული იყო პირველკურსელი სტუდენტების ნაშრომებზე და პოლიტიკური სწორედ მათ მიენიჭათ.

თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი მხარს უჭერს სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მეტი სიხშირით მომზადება-ჩატარებას და მიანიშნა, რომ თსუ-ის სტუდენტობა განსაკუთრებული პატივია ყველასთვის, ვინც ამ უმძღველეს სასწავლებელს



კედლებში სწავლობს, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტს სასწავლო სტატუსთან ერთად სამეცნიერო დატვირთვაც აქვს. ჟიურის წევრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ია ხუბაშვილის განცხადებით, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა სასურველიცაა და აუცილებელიც.

„როგორც წესი, კონფერენციებში ისინი II კურსიდან მონაწილეობენ. დღევანდელი კონფერენცია კი გამორჩეულია იმით, რომ მასში პირველკურსელები წარმოდგნენ. ისინი თავიანთ მოხსენებებში, კრიტიკული ანალიზისა და საფუძვლიანი ცოდნის მეშვეობით, თამამად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს რელიგიისა და პოლიტიკის საკითხებზე, იმდემოკრატიულ ფასეულობებზე, რაც აუცილებელია საქართველოს ევროინტეგრაცი-

ისთვის. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ნებით და უნებლიეთ მთლიანად არის ჩართული. ჩვენი სახელმწიფოს მომავალი სწორედ იმ თაობის გადასაწყვეტია, ვინც სამეცნიერო კონფერენციებზე სრულყოფილ საკუთარ ცოდნას და წარსულის მაგალითზე დღევანდელი შესახებ სწორ ანალიზს გააკეთებს“, — აღნიშნა ია ხუბაშვილმა.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით მაისისთვის, ჟურნალის „პირველი სიტყვა“ გამოცემა იგეგმება, სადაც გამოაჯგუხდება აღიარებული სტუდენტების საკონფერენციო ნაშრომები გამოქვეყნდება.

უნივერსიტეტში ჩოხოსანთა საზოგადოება — „იზარიელი“ დაარსდა

არც თუ ისე შორეულ წარსულში ქართული ეროვნული სამოსის ტარება ერთგვარი პროტესტის გამოხატვა იყო საბჭოთა ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ. იმ პერიოდში ჩოხის ჩაცმა გმირობის ტოლფასი გახლდათ. ვასული საუკუნის დასაწყისში თბილისის ქუჩებში რამდენიმე ადამიანს შეხვდებოდით, რომლებიც თავიანთი ჩაცმულობით საზოგადოების ყურადღებას იქცევდნენ და თავიანთი გაბედულებით ყველას აღაფრთოვანებდნენ. პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია — ფაქტობრივად, პირველი ჩოხოსანები იყვნენ... მათ ამგვარი ფორმით გამოხატეს ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგულება და პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

შურთსია პაროჰიძე

სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები ამ ოთხ მამულიშვილს და საზოგადო მოღვაწეს მიიჩნევენ თავიანთ წინამორბედებად. მათ ნაკვალევზე გაყოფას აპირებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად დაარსებული ჩოხოსანთა საზოგადოების „იზარიელის“ წევრებიც.

17 მარტს ჩოხოსანთა საუნივერსიტეტო ჯგუფის პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის

ჩოხოსანთა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა დაჩი იორამიშვილმა განაცხადა, ჩოხოსანთა საზოგადოების საუნივერსიტეტო ჯგუფი „იზარიელი“ სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების მხარდაჭერით შეიქმნა და მისი მიზანია, სტუდენტ-ახალგაზრდობაში ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება. „ჩვენ ვართ ის თაობა, რომლებიც პატივს ვცემთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, ჩვენს დედა-ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს, გვირგვინს, ღირსეულად ვატარებთ ეროვნული სამოსის. ჩვენი მიზანია, მატერიალური და სულიერი ღირებულებების დაცვა და პოპულარიზაცია, ასევე ვგეგმავთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრებს, ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულებას და მოლოცვას“, — აღნიშნა დაჩი იორამიშვილმა.

„იზარიელის“ დაარსება აკურთხა და დალოცა ფშაგ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა მეუფე თადეოზმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვა სასულიერო პირები: მეუფე სერაფიმე, მამა ადამი და დიაკვანი მირიანი.

ახალგაზრდა ჩოხოსანებს ეს მნიშვნელოვანი დღე ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ხელმძღვანელმა გიორგი ანდრიაძემ მიულოცა. მისი აზრით, ძველი და ახალი თაობის ჩოხოსანთა გაერთიანების საფუძველი, პირველ რიგში, იმ შეხვედრებებისა და დამოკიდებულების გაზიარებაა, რომელიც ეროვნული ფასეულობების დაცვას ეხება.

„ეს სრულიად აპოლიტიკური ორგანიზა-

ციტეტში, იმ უძველეს ცოდნის ტაძარში შეიქმნა, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართული მეცნიერების განვითარებას. ჩვენი მიზანია, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენება და, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალიზმთან და განათლებასთან ერთად ახალგაზრდები, მომავალი მეცნიერები, საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეები იმ მთავარ ღირებულებებს ეყრდნობოდნენ, რომლითაც აშენდა ჩვენი ქართული სახელმწიფო. დღეს, როგორც დიდი ილია მართალი ამბობდა, სულ სხვა ბრძოლაა, რასაც ჩვენს ეპოქაში ინფორმაციული ომი დამატა. თანამედროვე მეცნიერებების მიღწევებთან ერთად საჭირო და აუცილებელია, შევინარჩუნოთ ჩვენი ღირებულებები. გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესში ტრადიციების დაცვა უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ჩვენი ახალგაზრდების გადასაწყვეტია სახელმწიფოში იმ ფასეულობების და იმ ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რომელიც ქართული ტრადიციული სახელმწიფოს აშენებას უზრუნველყოფს. სწორედ ამ ახალგაზრდებმა უნდა დაუკვირონ ხელისუფლებას ასეთი სახელმწიფოს მშენებლობა,“ — აღნიშნა გიორგი ანდრიაძემ.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ ეს დღე პირველ რიგში საკუთარ თავს მიულოცა და დასძინა, რომ უნივერსიტეტის ისტორიაში იგი ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. „ჩვენს წინაშე დგანან ახალგაზრდები, რომელთაც არ განუცდიათ ის რეჟიმი, რომელშიც მე და ჩემს თაობას მოგვიწია ცხოვრება. ისინი სულით ჯანსაღნი და თავიანთი შეხედულებებით თავისუფალნი არიან. მათ არ სჭირდებათ გათავისუფლება იმ ბორკილებიდან, რომელიც მთელი ჩვენი ცხოვრება გვბოჭავდა,“ — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

აკადემიკოსის აზრით, საქართველო სწორედ ქართული ეროვნული ტრადიციების და კულტურული ფასეულობათა დაცვამ გადაარჩინა. „დღეს, როდესაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, ჩვენს წინაშე ძალიან რთული ამოცანა დგას. ამ პროცესებს ვერ და არც უნდა გამოვეთხოთ, რადგან საქართველო არ არსებობს გარესამყაროსგან დამოუკიდებლად. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი კულტურულ ფასეულობათა დაცვა,“ — აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ახალგაზრდა ჩოხოსანებს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დავით კერესელიძეც მიესალმა. მან სტუდენტებს უნივერსიტეტის გამოსაშვებ საღამოზეც ეროვნულ სამოსში გამოწყობა ურჩია.

„ჩვენ დღეს ბევრს ვსაუბრობთ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეზე, რომლის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ თითოეული ქვეყანა, რომელიც ამ პროცესში ჩაერთვება,

თავისი კულტურული განმსახვავებელი ნიშნებით წარმოჩნდეს. ჩვენ ჩვენი ფასეულობები არ უნდა დავკარგოთ. დასაველეთის ყველა ნამყვან უმალღეს სასწავლებელს თავისი სამოსი და თავისი ემბლემა აქვს. ჩვენ ამ ახალგაზრდებმა მიგვახვედრეს იმას, რაც დიდი ხნის წინ უნდა გავგეკეთებინა. თითოეული ის პიროვნება, რომელიც დაამთავრებს უნივერსიტეტს სწორედ ამ ფასეულობების მატარებელი უნდა იყოს,“ — აღნიშნა დავით კერესელიძემ.

თანატოლებს მიმართა გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ ერთერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაკაციაშვილმა: „ყველასთვის, და მათ შორის ჩემთვის, დიდი პატივია შევეუბნო ჩოხოსანთა რიგებს. ჩემთვის ჩოხა არც წარსულში დაბრუნებაა და არც წარსულთან შეხვედრა. ჩოხა — ქართული, რაინდული კოდექსის სიმბოლოა, რომელიც სიღირსეულობა და სიდასაბრუნებელი აღნიშნავს და ბოლოს და ბოლოს, იგი ქართულ-კავკასიური ერთიანობის სიმბოლოა. ჩოხა მართალი ესთეტიკური გემოვნების სამოსია, სადაც ჩვენი პირველი, რომელიც ქართველი სხვადასხვა ეპოქაში დარბაზობდა, ლაშქრობდა, ნადირობდა, ნადიმობდა, მტერ-მოყვარესთან მოსალაპარაკებლად ჯდებოდა.

დღეს ჩოხა არ უნდა გახდეს ეგზოტიკური სამოსელი, ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაწილი, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველამ ერთმანვე დაგვიხადოს პიჯაკები და ჯინსები, უარი ვთქვათ პალსტუხზე, მაგრამ ჩვენი ეროვნული სულის გამოვლინებასთან ერთად ეროვნული ტანსაცმლის დაბრუნებაც გარდაუვალია, გარდაუვალია იმ ღირებულებების დაბრუნებაც, რომელიც ჩოხასთან ასოცირდება და ეს, პირველ რიგში, რაინდული სულისკვეთება, ვაჟკაცობა, სწავლის და შრომის სიყვარული, მანდილოსნისადმი მოკრძალება და პატივისცემა, რწმენაში განმტკიცება, მართლმადიდებლობის კიდევ უფრო სიყვარული და ერთგულება.

აი, ეს არის ჩემთვის ჩოხა. ამგვარად წარმომიდგენია ჩემი თავი ჩოხოსანთა რიგებში და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ სულისკვეთებას ბევრი ჩემი თანატოლი იზიარებს, როგორც ამ დარბაზში, ისე სრულიად საქართველოში,“ — აღნიშნა არჩილ კაკაციაშვილმა.

საუნივერსიტეტო ჯგუფის წევრებს თანადგომა აღუთქვა სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების ერთერთმა დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა მინდია სალუქვაძემ.

პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა ჩოხოსანების მიერ შესრულებული საგალობლების ფონზე თავისი ლექსები წაიკითხა.

როგორც შესვედრაზე დიაკვანმა მირიანმა განაცხადა, საქართველო მხოლოდ ტრადიციების შენარჩუნებით და ეროვნული ფასეულობების დაცვით შეძლებს შეინარჩუნოს საკუთარი „ავტორიტეტი“.



სახელობის დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დანერგილი საგალობლით გაიხსნა. შეხვედრას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა სასულიერო პირები და საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრებიც დაესწრნენ. როგორც ახალგაზრდა

ცია, რომლის თავმჯდომარე მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა. ჩოხოსანთა საზოგადოებას, რომელშიც ცნობილი ქართველი მეცნიერების და კულტურის მოღვაწეები არიან გაერთიანებული, ასეთი ორგანიზებული ახალგაზრდული ჯგუფი ჯერ არ ჰყოლია. სიმბოლურია, რომ ეს გაერთიანება უნივერ-

სტუდენტური ცხოვრების გემო ევროპის შუაგულში

„როცა გვეკითხებიან — რაში მდგომარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირატესობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, ჩვენი პასუხი ასეთია: — მეტი შესაძლებლობა გასცდეს საქართველოს ფარგლებს, შეძლოს საკუთარი თავის ენაზე, შეიგონოს სტუდენტური ცხოვრების გემო ევროპის შუაგულში, და, ამასთან ერთად, იყო უბრალო ქართველი სტუდენტი და მოგვეცეს შესაძლებლობა — შენი სწავლება ასახელოს სამშობლო“, — ასეთია იმ 24 სტუდენტის აზრი, რომლებმაც 2006-2007 წლის საშემოდგომო სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვეს და ბალტიის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში გაემგზავრნენ. იქ გატარებული ხუთი თვე თითოეული მათგანისთვის საინტერესო და მრავლისმომცველი აღმოჩნდა. თავიანთ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

სუთი თვე ვილინუსში

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები რუსუდან ჭაჭაძე, ბიორბი მისხინი და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნათია მათუშვილი:

როდესაც ჩვენი თავი უცხოეთში გაცვლითი პროგრამით წამსვლელთა სიაში ვიპოვეთ, ძალიან გაგვიხარდა, თუმცა სიხარულს გარკვეული შიში, პასუხისმგებლობა და, თანაც, სიამაყის გრძობა მოყვა. ვამაყობდი უნივერსიტეტში, რომელშიც საკუთარი თავის წარმოჩენის საუკეთესო შანსი მოგვცა. ამ შესაძლებლობისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ძნელია, შესაფერისი სიტყვების გამოჩვენა იმ შთაბეჭდილებების ნაწილობრივ მანაც გამოსაცემად, რომელიც ლიტვაში გატარებულმა ხუთმა თვემ მოგვანიჭა.

ჯერ იყო აეროპორტი და ბევრი ნაცნობი სახე, შემდეგ შორი და დამლელი ფრენა და უცხო ქვეყანა, რომელიც საერთოდ არ ჰგავდა ჩვენსას. ლიტვის დედაქალაქი ვილინუსი თავიდან „ცივ ქალაქად“ მოგვჩვენა, თუმცა ეს შთაბეჭდილება დროებითი იყო. მალე ჩვენი წარმოდგენა რადიკალურად შეიცვალა. გავგოცა ახალმა ქალაქმა თავისი არქიტექტურით, რომელიც შენგენის იყო ახალი და ძველი სტილი (ძველი სლავური და გოთიკური), წერილი ქუჩებითა და ქონგურებიანი სახლებით... მოკლედ, თავი ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპარში გვეგონა. თუმცა ქალაქში ახალი შენობებიც შენდებოდა და ისიც ჩვენსათვის თვალსა და ხელს შუა ვითარდება, იზრდება და იხვეწება.

ვილინუსში ჩასვლელს მენტორები დაგვხ-

ვდნენ. ისინი ჩვენი თანატოლი სტუდენტები იყვნენ, რომლებიც ვილინუსის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და სტუდენტურმა თვითმმართველობამ თითოეულ ჩვენგანს მოგვამარაგა, რათა უკეთ გავცნობოდი უცხო ქალაქს და აქტიულოდ კითხვებზე პასუხი მიგველო. ასე რომ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან დაწყებული უბრალო სტუდენტთა დამთავრებული — ყველა ჩვენთვის ლიტვაში ცხოვრების გაიოლებზე იყო ორიენტირებული და მალე ქალაქი ისე გავიცოცხლეთ და შევისწავლეთ, რომ ძირკვე ვილინუსელსაც შეშურდებოდა.

ვილინუსის უნივერსიტეტში რექტორმა მიგვილო, მან ახალი სასწავლო წლის დაწყება მოგვლოცა და სწავლასთან ერთად, გვიჩვენა, დაგვეგეგმოვინა ქვეყნის სიამაყე — ლიტვური ლუდი და, ამავდროულად, გვთხოვა, ევროპის ჩემპიონატზე ლიტვის კალათბურთის ეროვნული ნაკრებისთვის გულშემატკივრობა გავგენია. აქვე ვიტყვი, რომ კალათბურთი ლიტველებისთვის ე.წ. მეორე რელიგიაა, ხოლო გულშემატკივრობით გახურებული ცხელი გულის გასაგრძელებლად ლიტვური ლუდი, მართლაც, მისწრებაა.

სტუდენტების საერთო საცხოვრებელში დაგვინახვდით, სადაც გავიცანი გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტები — დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან, ლათინური ამერიკიდან და დასავლეთ აზრიდან. მათთან დაგვეგობრდით კიდევ და მართალია, დღეს უკვე ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ, მაგრამ ლიტვაში დაწყებული მეგობრობა კვლავაც გრძელდება.

თითოეული ჩვენგანი ვაცნობიერებდით იმ პასუხისმგებლობას, რაც დაგვეკისრა. ჩვენ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის, ქართველი სტუდენტის სახე ვიყავით და, შესაბამისად, უნდა წარმოგვეჩინა ჩვენი ქვეყანა. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამდვილად დავამტკიცეთ ღირსეული ერის შვილობა. ნათია მათუშვილიმ საერთო საცხოვრებლის სამზარეულოში ჭეშმარიტად ქართული ტრადიცია დაამკვიდრა — სადილზე შემოსწრებული კაცი ღვთისაა და შენი ლუკმა უნდა გაუზიარო; გიორგი მესხი თითქმის ყოველ საღამოს ატკობდა საერთო საცხოვრებელს თავისი სიმღერითა და გიტარაზე დაკვრით; რუსუდან ჭაჭაძე, ისევე როგორც თითოეული ჩვენგანი, სიბეჯითით გამოიჩინა, რაც საბოლოო შედეგებზე აისახა: სამივემ თავი გამოიჩინეთ ენისა და ჩვენი მომავალი პროფესიის კარგი ცოდნით. შედეგად წილად გვხვდა უმაღლესი ქულენი და ვილინუსის უნივერსიტეტის ლექტორების საუკეთესო რეკომენდაციები. განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ, რომ შემოდგომის სემესტრის კულტურული შეჯიბრებებში მოვიგეთ, სცენაზე გიტარის თანხლებით შევასრულეთ ექვსი ქართული სიმღერა, რამაც ყველა მოხიბლა და გამარჯვებაც მოგვი-

პოვა. ლიტვიდან გამომგზავრებას, რა თქმა უნდა, თან ახლდა ცრემლი და გულისტკივილი.

წარმატებულად გატარებული ხუთი თვის შემდეგ საქართველოში დავბრუნდით... იურიდიულ ფაკულტეტზე მოვინვიეთ ვილინუსის უნივერსიტეტის ლექტორი და ლიტვის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ევროპული სამართლის სპეციალისტი, რომელიც 2008-2009 შემოდგომის სემესტრში ჩამოვა და ქართველი სტუდენტებისთვის ლექციების ინტენსიურ კურსს ინგლისურად წაიკითხავს. ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვილინუსის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ორგანიზებულობა ბევრად უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდის შემეცნების პროცესს და სტუდენტებს უადვილებს პროფესიის დაუფლებას. უკეთ ორგანიზებული სასწავლო პროცესი უნდა იყოს სწორედ თსუ-ის პრიორიტეტი, რაც ბევრად ეფექტურს გახდის როგორც სწავლებას, ისე შემეცნებას. გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებდა ჭეშმარიტად ევროპული სოციალური დაცვის სქემა, საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან დაწყებული ღამის კლუბებში დამთავრებული. ყოველივე ამით სარგებლობა სტუდენტს ორმაგად და სამმაგად უფრო იაფად შეეძლო, ვიდრე უბრალო მოქალაქეს. სამედიცინო სასწრაფო დახმარებაც უფასოდ ემსახურებოდა სტუდენტებს და, ზოგადად, ჯანდაცვის სფეროში, სოციალურად დაუცველ სხვა ფენებთან ერთად, დიდი შეღავათებით სწორედ სტუდენტები სარგებლობდნენ. ჩვენი სურვილია, ყოველივე საქართველოშიც დაინერგოს. ვფიქრობ, საშუალება ყოველთვის გამოიძებნება, თუკი ამის სურვილი იარსებებს.

ვიცხოვრეთ რა ჭეშმარიტად ევროპული სისხლსავსე სტუდენტური ცხოვრებით, მივალნით ყოველგვარ, რაც ნასვლამდე დავისახეთ მიზნად, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკან ვაღმობილები დაგვბრუნდით.

რა მომცა ლატვიის უნივერსიტეტი?

ლეიან მახაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

რა თქმა უნდა, ეს ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანი ხუთი თვე იყო, რომლის განმავლობაშიც ბევრი ახალი გავიგე, ვისწავლე, განვიცადე, ფასეულობები გადავაფასე. საერთო ჯამში, მივიღე შეუფასებელი გამოცდილება, რომელიც დღეს თითოეული ჩვენგანისთვის ესოდენ მნიშვნელოვანია.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლატვიური განათლების სისტემამ და მისმა გამართულმა და შეთანხმებულმა მუშაობამ. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს, მის მოსახლეობას და

მთავრობას კარგად აქვს გააზრებული განათლების მნიშვნელობა საზოგადოების ფორმირებისთვის. შესაბამისად, მას დიდი ყურადღება ექცევა. მისი გამართული მუშაობისთვის უზარმაზარი თანხები იხარჯება ევროკავშირის მხრიდანაც. უახლოესი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა, პროფესორ-მასწავლებლების პროფესიონალიზმი, გახსნილობა და სტუდენტებთან უშუალო ურთიერთობები საშუალებას იძლევა, ლატვიის უნივერსიტეტი მიიღოს ისეთი განათლება, რომელიც გააჩნის გზას მომავალი წარმატებებისკენ.

ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან ურთიერთობა, სადაც ვკურირებდი უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობების დეპარტამენტს და მის პრეზიდენტთან მიქსთან ერთად ბევრ საინტერესო პროექტს ვახორციელებდი. მათი ძირითადი მიზანი იყო უცხოელი სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოება, მათი ლტვიასთან შეგუების გაადვილება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და სხვა. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო — „ევროპა ერთ სახლში“. უცხოელი სტუდენტები და თვითმართველობის წევრები 2 დღით ქალაქგარეთ ვიმყოფებოდით. ამ დროის მანძილზე თითოეული სტუდენტი ცდილობდა თავისი ქვეყანა, კულტურა, ხალხი და ტრადიციები გაეცნო ჩვენთვის. ქართველების მიერ დადგმულმა „აქაერთულმა“ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და კონკურსში — „საუკეთესო ცეკვა და სიმღერა“ სამართლიანად გაიმარჯვა. კონკურსის ბოლოს თვითმართველობის სახელით პრეზიდენტმა გულთბადი მადლობა გადაგვხადა ქართველებს.

არ შეიძლება დავივიწყო ის საგანძური, რომელიც რიგში შევიძინე. ესაა ის თითოეული ადამიანი, რომელიც ერთდროულად გავატარე ეს საინტერესო პერიოდი. იმ მიზნით, რომ ჩვენი მეგობრობა შემდგომშიც გაგრძელდეს, გადაწყვიტეთ გაისად აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში შეკრება. ეს საინტერესო ტრადიცია, იმედია, წლები მანძილზე გაგრძელდება.

ამრიგად, ჩემს მიერ ლატვიის უნივერსიტეტში გატარებული პერიოდი აღნიშნული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პიროვნული, ისე პროფესიული სრულყოფისთვის, რისთვისაც მინდა გამოვხატო მადლიერება მასპინძელი რიგის უნივერსიტეტის და საერთაშორისო სტუდენტების მიმართ. ასევე, დიდ მადლობას ვუხდენ ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, საგარეო ურთიერთობების განყოფილებას, რომლებიც ენერჯიას არ იშურებენ საერთაშორისო პროგრამების მოძიებისთვის და მათში სტუდენტების ჩართვას. იმედს ვიტოვებ, რომ კვლავაც აქტიურად გაგრძელდება აღნიშნული საქმიანობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სტუდენტების ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

ქართული სტუდენტები იერუსალიმში

გასული წლის მაისში, აღდგომის კვირაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტიკური ფაკულტეტის სტუდენტები ცოტნე ზურაბიანი, მურმან პატარაია, ავთანდილ აბდუშელიშვილი და ალექსანდრე გვაზავა სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებით იერუსალიმში იმყოფებოდნენ. ექსპედიციის მიზანი იყო წმინდა ადგილების მოლოცვა და ფოტო-ვიდეომასალის მოძიება.

მანია ტორაძე

მიმდინარე წლის 11 აპრილს თსუ-ში მოეწყო ფოტო გამოფენა და ვიდეოფილმის — „ქართველი სტუდენტები იერუსალიმში“ — ჩვენება.

სტუდენტებმა ფოტოგამოფენაზე წარმოადგინეს ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის საფლავების, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სიონის, ბეთლემის, აღდგომის, მაცხოვრის ამალელებისა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრების, თაბორისა და ზეთისხილის მთის, ომარის მეჩეთისა და გოდების კედლის ილუსტრაციები. დამთავლიერებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო იმ ადგილებისთვის თვალის შევლება, სადაც ღვთისმშობელს მთავარანგელოზმა უფლის ჩასახვა ახარა და საიდანაც ღვთისმშობელი მაცხოვრის ამალელებს ადევნებდა თვალს.



ვიდეოფილმის — „ქართველი სტუდენტები იერუსალიმში“ პრეზენტაცია გახსნა ექსპედიციის წევრმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას იერუსალიმში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა. მან აღნიშნა, რომ ფილმი, რომლის

პრეზენტაციაზეც მათ უნივერსიტეტის სტუდენტობა მიიწვიეს, ორნაწლიანია. იგი გადაღებულია სამოყვარულო კამერით და იერუსალიმის თითქმის ყველა ღირსშესანიშნოების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

წმინდა ცომბანი, საქართველოს საპარტიოკოს წარმომადგენელი:

— ცნობილია, რომ ქრისტიანული სამყაროსთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, უფლის საფლავის შემდეგ, სიძლიერით მესამე ადგილი უჭირავს. მიხარია, რომ სტუდენტებმა თავისი თვალთ ხილეს უფლის სასწაული — ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა, რომელიც ყველა მართლმადიდებელში დაუვიწყარ ემოციას აღძრავს. ასევე, უდიდესი სულიერი ძალის მომცემია მდინარე იორდანეში განბანვა.

მადლობა უნივერსიტეტს, რომ ახალგაზრდობაში სიკეთეს და ამ სინამდვილის მოლოცვის მოთხოვნილებას აღვივებს. ვისურვებთ ყველას, რომ აღდგომის დღეებში ცხოვრებაში ერთელ მაინც მოხვდეთ იერუსალიმში.

ცომბანი ზურაბიანი, ექსპედიციის წევრი:

— ჩვენი ექსპედიცია დაემთხვა მართლმადიდებლური სამყაროსთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდს — აღდგომის დღესასწაულს. დავესწარი ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლას, რაც მიღებულ შთაბეჭდილებათა შორის ყველაზე ამალელებელი იყო — ეს გახლდათ ბედნიერება, შეება და, ამავდროულად, დიდი სიამოვნება. ყველა ქართველსა და სტუდენტს ვუსურვებ, მოინახულონ და მოილოცონ ამ ქალაქის წმინდა ადგილები.

„ძველი სამყარო და თანამედროვეობა“

სატარო ლექცია „ნორჩთა სკოლის“ მოსწავლეებისთვის

რა არის დემოკრატია და როდის შეიძლება მმართველობის ეს ფორმა ტირანიაში გადაიზარდოს? — ამ საკითხზე ანტიკურ ეპოქაშიც ფიქრობდნენ და არგუმენტირებულ პასუხებსაც პოულობდნენ. თურმე არც გლობალიზაციისა და ოცდამეერთე საუკუნის აღმოჩენა...

გაერთიანებულ მსოფლიოზე ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი ოცნებობდა.

„ძველი სამყარო და თანამედროვეობა“ — ამ თემაზე საჯარო ლექცია უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგერციტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა ნაიკითხა, რომელსაც ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ.

შურთხია ბაროშვილი

ანტიკური სამყაროს საოცრებები: ათენას, ზევსის, აპოლონის, პოსეიდონის სკულპტურები, რომლებიც გასაოცარი პლასტიკით და ჰარმონიულობით გამოირჩევა, არქიტექტურის უნიკალური ნიმუშები, მათ შორის, თეატრი — ძველი რომის და ძველი საბერძნეთის იდუმალე პიროვნებები სლაიდების საშუალებით გააცნო მოსწავლეებს.

ლექციის მოსმენის დროს, ძველი და ახალი სამყაროს შედარებისას, ბუნებრივად დაიბადა კითხვა: მაინც რა არის ევოლუცია და რამდენად განვითარდა კაცობრიობა უძველესი დროიდან დღემდე.

როგორც პროფესორმა მოსწავლეებს განუხარტა, კულტურა ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საფუძველზე და კულტურული განვითარების დონით თუ ვიმსჯელებთ, ევოლუცია სხვადასხვა სფეროს სხვადასხვანაირად შეეხო.

ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ოცი წლის შემდეგ უკეთესი თვითმფრინავები გვეყოლება, მაგრამ დაიბადება თუ არა რუსთაველზე დიდი პოეტი? — ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, რადგან მხატვრული შემოქმედება არ ექვემდებარება ევოლუციის ელემენტარულ კანონზომიერებას. ჩვენს გაოცებას არ ინვესს ანტიკური ხანის სატრანსპორტო საშუალებები, მაგრამ ვირგილიუსის, ესქილეს, ჰომეროსის, სოფოკლეს, ევრიპიდეს შემოქმედება გვაოცებს. ანტიკურობა შემოქმედებითი პოეტისთვის გამოვლენის ძალით გამოირჩევა და სწორედ ამიტომ ვთვლით მას ქემპარტ ცივილიზაციად.

ციად“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

რა არის ყველაფრის საწყისი და არსებობს თუ არა ღმერთი? — ანტიკურმა სამყარომ ამ კითხვებსაც ისეთი პასუხები გასცა, რომლებიც უახლოვდება თანამედროვე მსოფლიოს ერთერთ აღიარებულ აღმოჩენას, რომელიც „დიდი აფეთქების თეორიის“ სახელით არის ცნობილი. ჯერ კიდევ მაშინ, პლატონმა თეორიულად დაასაბუთა, რომ სული უკვდავია.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც ასე აახლოებს ძველ და ახალ სამყაროს ერთმანეთთან, ეს არის იდეალური მმართველობის ფორმის ძიება. რისმაგ გორდეზიანის თქმით, ანტიკურმა სამყარომ დემოკრატიული მმართველობის თითქმის იდეალური მოდელი შექმნა.

კარგია თუ არა დემოკრატია, რა ღირებულებებს ემყარება იგი ძველად და რას ემყარება იგი ამჟამად? ამ თემაზე ლექციაზე დისკუსიაც გაიმართა. აღნიშნა, რომ დემოკრატია კარგია, რადგან ჯერჯერობით, უკეთესი მმართველობის ფორმა არ არსებობს, მაგრამ არც იგია სრულყოფილი.

რისმაგ გორდეზიანმა ბავშვებს აუხსნა, რომ ანტიკურ პერიოდში ათენში დემოკრატია ნამდვილად არსებობდა, თუმცა მას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. „თუ საზოგადოება არ არის ემანსიპირებული, დემოკრატიული მექანიზმი მას დეგენერაციაში მიიყვანს. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს, დემოკრატია შეიძლება ტირანიაში გადაიზარდოს, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება სწორი გადანიშნულების მისაღებად არ არის მზად, ემოციურმა აუცილობელი პოლიტიკოსები კი იმ გადანიშნულებას იღებენ, რაც



მათ ხელს აძლევთ მოცემული მომენტისთვის“, — განმარტა რისმაგ გორდეზიანმა. მისი აზრით, ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია და კარგი იქნება, თუ ამ ფაქტორს პოლიტიკოსები გაითვალისწინებენ.

პროფესორმა მოსწავლეების ყურადღება კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე გაამახვილა. მისი თქმით, გლობალიზაციის საფუძველიც ანტიკურ ეპოქაშია საძიებელი. ამას ადასტურებს ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობაც. ამ დიდი მხედართმთავრის ცხოვრების მიზანს მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა, რომელსაც საფუძველად, ფაქტობრივად, ერთი ხალხის — ბერძნების კულტურა დაედებოდა. „ალექსანდრე მაკედონელმა გაასწრო ეპოქას, მან უპირავი ქვეყანა დაიპყრო და თავისი „მსოფლიო სახელმწიფოს“ დედაქალაქს ბაბილონში დაუდო ბინა. იმ პერიოდში კაცობრიობისთვის საერთაშორისო ენას ბერძნული წარმოადგენდა, სწორედ ამიტომ, მას თანამედროვე მეც-

ნიერებაში ელინისტურს უწოდებენ. ბერძნული და ლათინური ენის გავლენა დღესაც ძალიან დიდია. ჩვენ დაახლოებით ოცდაათი ათასი სიტყვა გვაქვს ლექსიკონში, რომელსაც ეს ენები უდევს საფუძველად“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

პროფესორი მოსწავლეებს იმ დიდი იმპერიების ბედზეც ესაუბრა, რომლებიც თავიანთი ძლევამოსილების მიუხედავად აღარ არსებობენ, თუმცა ანტიკური მემკვიდრეობა დღესაც ძველ ბრწყინვალეობას ინარჩუნებს.

ნორჩ ჰუმანიტარებს ამ თემებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა დაუგროვდათ. ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დეკანმა თვალთვალში საინტერესო ლექციისთვის მადლობა გადაუხადა რისმაგ გორდეზიანს და მოსწავლეებს პროფესორთან შეხვედრა კვლავაც ალუთქვა.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგერციტიკის ინსტიტუტის კულტურის მწვერვალებზე ტრადიცია, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა და ახალგაზრდებს საშუალება ექნებოდათ, მოსმინონ საჯარო ლექციების ციკლი — „ანტიკური კულტურის მწვერვალები“.

„ნორჩთა სკოლის“ დაარსებით ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. „საბავშვო უნივერსიტეტი“ ჩვენს ახალგაზრდებს დაეხმარება სწორი გადანიშნულების მიღებაში. უნივერსიტეტი ქვეყნის კულტურული ცენტრია, სადაც ახალგაზრდები სულიერ საზრდოს იღებენ. პირადად მე, ძალიან დიდი საიმედოება მომანიჭა მათთან საუბარმა. ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვალში მადლობა გადაუხადა პროფესორს და მოსწავლეებს პირობა მისცა, რომ ასეთ საინტერესო ლექციებს ისინი არავითარ შემთხვევაში უნივერსიტეტიში.

ნიგნის თარო

სტუმარი

ილია ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიაზე გამოცემული მუშაობა დასრულდა

ილია ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიაზე დასრულებული მუშაობა მწერლის საიუბილეო წელს წარმატებით დასრულდა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან არსებულ „ილიას კაბინეტთან“ შეიქმნა მკვლევარ-ბიბლიოგრაფთა ჯგუფი, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიის სრულყოფილი ვერსიის მოსამზადებლად მუშაობა დაიწყო.

შურთხია ბაროშვილი

ილიას შემოქმედება მოიცავს სხვადასხვა სფეროს: ლიტერატურას, ხელოვნებას, ჟურნალისტიკას, იურისპრუდენციას, საზოგადოების ისტორიას, ფილოსოფიას, პედაგოგიკას, ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას... ნიგნის რედაქტორის, უნივერსიტეტის პროფესორის, „ილიას კაბინეტის“ მენეჯერ-ხელმძღვანელის ლადო მინაშვილის თქმით: „რაც დრო გადის, ილიას მემკვიდრეობა მით უფრო თანადროული ხდება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე მდგომი საქართველოსთვის. მისი მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ილიას ტრადიციული აღსარულიდან საუკუნე გავიდა და ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა ილია ჭავჭავაძის სრული ბიობიბლიოგრაფია. ისევ და ისევ ვრჩევდით თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას მიერ შედგენილი ბიობიბლიოგრაფიით, რომელიც 1857-1907 წლებს მოიცავს.“

ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურას სასწავლო-სამეცნიერო კვლევა-ძიებითი საქმიანობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მის გარეშე სპეციალისტს, ლექტორს, სტუდენტს დიდი შრომის განევა უხდება, რომ მისთვის საინტერესო საკითხზე გარკვეული ინფორმაცია მოიპოვოს“, — აღნიშნა ლადო მინაშვილმა.

მისი ინფორმაციით, თავდაუზოგავი შრომისა და სიყვარულის შედეგად ქართველმა მკითხველმა 1317 გვერდის ნაშრომი, ანოტირებული ბიობიბლიოგრაფია მიიღო, რომელიც 1907-2007 წლებს მოიცავს. ნაშრომის შემდგენლები არიან: ცნობილი ბიბლიოგრაფი ილია გორგაძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები: მიაი მიქაბერიძე, თინათინ ლომჯარია, ნანა ბარნაბიშვილი და ლადო მინაშვილი. ამ დიდ საქმეს მხარი დაუჭირა და ნაშრომის წიგნად გამოცემა უზრუნველყო „ილიას ფონდმა“, რომლის ხელმძღვანელია უნივერსიტეტის აღზრდილი, საჯარა მოხელე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკიძე. ნიგნს თან ერთვის რედაქტორის ლადო მინაშვილის წინასიტყვაობა, სადაც საუბარია ბიობიბლიოგრაფიის მნიშვნელობაზე, ნიგნის სტრუქტურასა და გამოყენების თავისებურებაზე.

როგორც ლადო მინაშვილი აღნიშნავს, ბიობიბლიოგრაფიაში შესულია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოცემული ლიტერატურა როგორც ქართულ, ასევე რუსულ და სხვა უცხო ენებზე. ბიობიბლიოგრაფია შედგება ორი განყოფილებისგან. პირველი თავმოყრილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულების თუ ცალკეული თხზულების გამოცემები 1907 წლიდან მოყოლებული ვიდრე 2007 წლამდე, მეორე განყოფილება კი ეთმობა ლიტერატურას ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ნიგნის შემდგენლები ილიას ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობას დასრულებულად არ თვლიან. „ყოველი საქმიანი შენიშვნა თუ მითითება გამორჩენილ მასალაზე ჩვენს მიერ მადლობის გრძობით იქნება მიღებული, რათა შემდგომში უფრო სრულყოფილი გამოცემის მომზადება მოხერხდეს. ბიობიბლიოგრაფია, გარკვეულწილად, გადავიღებს მნიშვნელოვანი ნაშრომის — ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედიის შექმნას“, — აღნიშნავს ლადო მინაშვილი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სტუმრობა უნივერსიტეტიში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიციანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირველად 3 აპრილს ესტუმრა. იგი უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, გიორგი ხუბუას და მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შეხვდა.

ხათუნა ხატიშვილი

დახურულ შეხვედრაზე მხარეებმა ჯანდაცვის სფეროში ქვეყნის მასშტაბით არსებული მდგომარეობა, პოსტდემოკრატიული უწყვეტი სამედიცინო განათლების მხრივ არსებული პრობლემები და მისი სახელმწიფო ხელშეწყობის ფაქტორები განიხილეს, რის შემდეგ შეხვედრა გაშლილი ფორმით გაგრძელდა.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ცისკარიძემ უმაღლესი სამედიცინო განათლების საფეხურებრივად განვითარების სტრატეგიისა და ფაკულტეტის ამჟამინდელი საქმიანობის პრეზენტაცია მოახსო. აღნიშნა, რომ პირველი სამედიცინო სწავლების ცენტრი თსუ-ში 1921 წელს შეიქმნა, რომელსაც სამედიცინო ფაკულტეტი ეწოდებოდა. 1928 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო და ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს ფაკულტეტი უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში მსოფლიო 2000 წლიდან აღდგა. ამჟამად ფაკულტეტისთვის უმთავრეს პრობლემას საბაზო კლინიკის არარსებობა წარმოადგენს.

მინისტრმა გაიზიარა თსუ-ის ხელმძღვანელობისა და მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე სამედიცინო სწავლება პროფესიული პრაქტიკის გარეშე

წარმოუდგენელია და საამისოდ კლინიკური ბაზა საჭირო. ალექსანდრე კვიციანის განმარტებით, სამედიცინო სფეროს ზოგიერთი მიმართულება დღეს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური ექიმების ნაკლებობას განიცდის და სათანადო ზომების არმიღების შემთხვევაში, მათი რაოდენობა 10-15 წლის შემდეგ, კიდევ უფრო შემცირდება. მისი აზრით, პროფესიონალი ექიმების აღზრდასა და მათი უწყვეტი განათლების განვითარებაზე ზრუნვა უმაღლესმა სასწავლებელმა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად უნდა დაიწყო.

„ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამედიცინო-სასწავლო დასახელებულ ბაზა ჰქონდეს კლინიკა და ეს მიღებული პრაქტიკა მთელს მსოფლიოში. თუ სტუდენტმა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილება არ მიიღო, ის ექიმად ვერ ჩამოყალიბდება. მოსაფიქრებელია ფორმა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა“, — განაცხადა მინისტრმა. მანვე შესთავაზა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში მოხდეს ყველა საჭირო ფორმისა და წინადადების მომზადება, რომელსაც იგი ხმარს დაუჭერს და სახელმწიფო დონეზე მისი რეალიზების საკითხს თავად დააყენებს.

მისი თქმით, უნივერსიტეტისთვის სამედიცინო კლინიკის გადაცემის საკითხი სამინისტროს პრეროგატივა არ არის. ეს პრობლემა 7 წელია არსებობს და კლინიკური ბაზის გადაცემის საკითხის მოგვარება სათანადო ფორმის მომზადების საფუძველზე შესაძლებელია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მფლობელობაში არსებული კლინიკური ბაზა ე.წ. „ლექკომბინატი“ რამდენიმე წლის წინათ ჩამოერთვა.

არქეოლოგიის ექსპერიმენტული ლაბორატორიის შექმნა უნივერსიტეტში ერთერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა

არქეოლოგია დღეს მეცნიერების ერთერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად განვითარებადი დარგია. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ არქეოლოგიური კვლევა გაცილებით მეტად დაუახლოვა ზუსტ მეცნიერებებს, ვიდრე წლებისმძიერი სხვა პუბლიკაციური მიმართულება. არქეოლოგიამ შეიძინა უაღრესად პრაგმატული ხასიათი როგორც რიგი სამეცნიერო, ისე პრაქტიკული სახის საქმიანობის სფეროში. გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება პარალელი გაგვეკეთოთ XIX საუკუნის შუა ხანებთან, როდესაც კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გარკვეული ბიძგი მისცა საბუნებისმეტყველო დარგების გამოცოცხლებას და, უნებლიედ, ეს ბიძგი დიდი სტიმული აღმოჩნდა არქეოლოგიის განვითარებისთვისაც. ამჟამად თვალს ვადევნებთ ზუსტ მეცნიერებათა უპრეცედენტო განვითარებას, რასაც უკვე ლოგოკურად მოსდევს არქეოლოგიის, როგორც ზუსტ მეცნიერებებთან ყველაზე მეტად დაახლოებული დარგის წინსვლაც. ყოველივე ამის შედეგია თვისობრივად ახალი აღმოჩენები, რომლებიც არა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების, არამედ, უპირატესად, ლაბორატორიული კვლევებითაა მიღებული. თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების პროფესორების აზრით არქეოლოგიის ექსპერიმენტული ლაბორატორიის შექმნა უნივერსიტეტში ერთერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა.

თანამედროვე არქეოლოგიური კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოების აზროვნების განვითარებას, რამაც იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ უკვე კარგა ხანია არსებობს

არქეოლოგიის სრულიად კონკრეტული მიმართულება – ე.წ. „ქვევითი არქეოლოგია“. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა მეცნიერების ახალი მიმართულება (ლ. ბინფორდი) ე.წ. „ეთნოარქეოლოგია“ – ანუ „ახალი არქეოლოგია“, „ცოცხალი არქეოლოგია“. პოსტსტაჭოთა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთდერ უმაღლეს სასწავლებელში – თსუ-ში 2007 წლიდან იკითხება „ეთნოარქეოლოგიის“ კურსი. მისი მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ისეთი ფენომენი, როგორცაა ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთიანობა ანუ კულტურა.

ამასთან, როგორც აღინიშნა, არქეოლოგია არის ისტორიის ისტორიული კვლევის ბაზა, რომელსაც შესწევს უნარი – იქცეს ისტორიული ხასიათის ინტერპრეტაციების ჭეშმარიტების დადგენის კრიტერიუმად.

დღეს არქეოლოგიას გაცილებით მეტი მეცნიერული დატვირთვა აქვს: არქეოლოგია წარმოადგენს საზოგადოებრივი მეცნიერების ისეთ დარგს, რომელიც ახდენს არა მხოლოდ საზოგადოების მიერ მისი განვითარების მანძილზე შექმნილი მატერიალური ნაშთების კვლევას და ისტორიულ (კულტურულ-ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ) ინტერპრეტაციას, არამედ ხელს უწყობს როგორც კონკრეტული ეკოგარემოს, ისე ზოგადად ბუნების განვითარების ზოგიერთი ასპექტის კვლევას. არქეოლოგია არის მეცნიერების ის დარგი, რომელსაც აქვს უნიკალური შესაძლებლობები მოიპოვოს ინფორმაცია ისეთი საბუნებისმეტყველო პრობლემების კვლევისთვის, როგორცაა დედამიწის მაგნიტუბში, ფლორისა და ფაუნის ევოლუცია, პალეოკლიმატი და სხვა. ამასთან, არქეო-

ლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი თავის კვლევაში იყენებს სხვადასხვა სახის ტექნიკურ მეთოდებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედამიწის დისტანციურ კვლევას (ზონდირებას), გეოფიზიკურ ძიებას, მრავალგვარ ქიმიურ და ფიზიკურ ანალიზს, სტატისტიკურ-მათემატიკურ მეთოდებს და სხვა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დღეს არქეოლოგიური კვლევა ხდება დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის კვლევის დონეზე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უმარტივესად ხდება ათასწლეულების წინანდელი დაავადებების, კვების რეჟიმისა და საკვების სახეობების დადგენა იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ძველი ადამიანის მხოლოდ კბილებიდან შემორჩენილი. საერთოდ კი, მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით, იქნებ ისიც საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინათ ბენჯამინ ფრანკლინი (ხრანის) აღმოჩნდა ძვ.წ. IV ათასწლეულის ეგვიპტური თვალის, რომელიც ახალგაზრდა ქალისათვის ჩაუსვამთ.

სრულიად განსაკუთრებული პერსპექტივები აქვს არქეოლოგიას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით და ვფიქრობთ, რომ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყება ამგვარი სამუშაოები.

ამდენად, ჰუმანიტარული მეცნიერების ეს დარგი, როგორც თავისი შინაარსით, ისე ამოცანებითა და კვლევის მეთოდებით, წარმოადგენს ინტერდისციპლინარული გამოკვლევების განსაკუთრებულ ასპარეზს.

სწორედ ამ მიზეზების გამო არქეოლოგიურ გამოკვლევებს აქვს განსაკუთრებული მოთხოვნები და სტანდარტები.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობები, საზოგადოდ, მკვ-

ლევარის და მით უფრო არქეოლოგიის წინაშე აყენებს საკუთარი დარგის სრულიად ახლებური ხედვის შემუშავების აუცილებლობას. ეს ხდება ორი ტოლფასოვანი ამოცანისაგან შედეგად: პირველი – წმინდა მეცნიერული ინფორმაციის სრული ათვისება; მეორე – მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ანუ მეცნიერების კონკრეტული დარგის მენეჯმენტი. თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გარემო, რომელშიც ურთიერთობათა ახალი იურიდიული და ეკონომიკური ნორმები ყალიბდება, არქეოლოგისათვის მოითხოვს ორი სახის სპეციფიურ ცოდნას: 1. კულტურული მემკვიდრეობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილ ცოდნას, სადაც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა; 2. თანამედროვე არქეოლოგიის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების მოთხოვნის საგრანტო პროექტების შედგენის ჩვევების გამოუმუშავებასა და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების ცოდნას.

ასეთია სქემატურად დღევანდელი მდგომარეობა მეცნიერების იმ დარგისა, რომელსაც მიუხედავად დიდი ინტერდისციპლინარული დატვირთვისა, მაინც ბოლომდე აქვს შენარჩუნებული თავისი მთავარი არსი – ძველი სამყაროს ძიების უსაზღვრო რომანტიზმი.

თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების პროფესორები:
ოთარ ჯაფარიძე,
ბურბა მერიშვილი,
ვახტანგ ლიჩაილი,
ზვიად კვიციანი,
მარინა ფუშურიძე.

პროექტი

„მენარმეობის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთერთ პრიორიტეტს მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება წარმოადგენს, რაც, ძირითადად, ერთობლივი პროექტებით და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. ასეთი საქმიანობა განათლების ნებისმიერი დანერგვებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ჩვენ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში ვცხოვრობთ.

თამარ მარუაშვილი

ურთიერთთანამშრომლობის ეგიდით 24-29 მარტს თსუ მალღვივ კორპუსში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა საბერძნეთის საგარეო ურთიერთობების სამინისტროს ფონდის — „HELLENIC AID“ მიერ დაფინანსებული პროექტის „მენარმეობის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ მესამე ეტაპი. პროექტი ხორციელდება საბერძნეთის პირეუსის უნივერსიტეტის ინიციატივით. საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თვითონ არჩევს მენარმეობის აქტუალურ თემატიკას სხვადასხვა ქვეყნების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამების ჩარჩოში.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთერთ პრიორიტეტად მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და მისი ხელშეწყობა სისტემისა და ინფრასტრუქტურის შექმნა-ჩამოყალიბება მიიჩნია. ამ ჩარჩო პროგრამაში აქტიური მონაწილეობის ინიციატივითა და განაცხადით წარსდგა პირეუსის უნივერსიტეტი საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომელიც მიზნად ისახავდა თსუ-ში „მენარმეობის კურსების“ შემოღებას და მისი ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა-შესწავლას.

პროგრამამ პირველი და მეორე ეტაპი წარმატებით გაიარა. პარალელურად თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა საბერძნეთში (2007 წლის 18-25 ოქტომბერი). პროექტის მონაწილეებს მასპინძლობდა პირეუსის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. შეხვედრები შედგა საბერძნეთის სხვადასხვა წარმომადგენლებით ორგანიზაციებში: საბერძნეთის საინვესტიციო ცენტრში (ELKE), სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანებების პანბერძნულ კონფედერაციაში (PASECES) და საბერძნეთის კონკურენციის კომისიაში (NCC).

საბერძნეთის საინვესტიციო ცენტრში გამართულ შეხვედრაზე წარმოდგენილ პრეზენტაციებში განიხილეს საბერძნეთის საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის ფაქტორე-

ბი, საინვესტიციო კლიმატი, ინვესტიციების დარგობრივი და გეოგრაფიული მიმართულებები, საინვესტიციო სფეროში წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითები. აღნიშნული საკითხები აქტუალურია საქართველოსთვისაც იმდენად, რამდენადაც საქართველოს და საბერძნეთს გააჩნია მსგავსი ისტორიული, რელიგიური და კულტურული ფასეულობები, რაც საუკეთესო ნიადაგია ქვეყნებს შორის გრძელვადიანი კავშირ-ურთიერთობის განსამტკიცებლად.

დელეგაცია იმყოფებოდა საბერძნეთის კონკურენციის კომისიაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანების პანბერძნულ კონფედერაციაში.

დელეგაციის წევრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მასპინძელი უნივერსიტეტის პროექტორთან შეხვედრამ, სადაც გამოითქვა სურვილი და მზაობა უნივერსიტეტებს შორის სამომავლო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

პროექტი — „მენარმეობის კურსები თსუ-ში“ მესამე ეტაპი მიზნად ისახავდა მენარმეობის ფინანსური საკითხების შესახებ ცოდნის გაფართოებას და ამ თემაზე სხვა საინტერესო, საჭირო ინფორმაციების მონოდებას. (24-29 მარტი, თსუ მალღვივ კორპუსი).

„პროგრამა მიმართულია როგორც სტუდენტების ცოდნის გარღვევებისკენ ამ სფეროში, ასევე, ექსპერტების, სპეციალისტების მომზადებისკენაც, რომლებიც შემდგომში გააანალიზებენ და გადაჭრიან ყველა პრობლემატურ თუ კონკრეტულ საკითხებს. მომავალში ისინი თვითონ წაიკითხავენ მენარმეობის კურსს და სტუდენტებს ამ მიმართულებით მოამზადებენ.

პროექტის სალექციო კურსი — „მენარმეობის კურსები თსუ-ში“ მაღალ დონეზე შემუშავებულია... ზუსტად ანალოგიური ლექციების კურსი იკითხება დასავლეთის ნამყვან უნივერსიტეტებშიც.

აღსანიშნავია ქართველი სტუდენტების მომზადების მაღალი დონე, ამიტომ მათ ამ კურსის ათვისება არ გასჭირვებიათ. სტუდენტებმა გამოთქვეს ინიციატივა რამდენიმე პროექტი მოამზადონ მენარმეობის განვითარების თემაზე. გამარჯვებულ პროექტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეგეგმოს კონფერენციაზე წარმოად-



ჯოზეფ ჰასიდი, პროფესორი

გენენ“, — აღნიშნა პირეუსის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოზეფ ჰასიდმა.

პროექტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართდება, ხოლო ის გამოცდილება, რომელიც თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა ამ პროექტზე მიუმაღობი შეიძინა, თამამად შეუძლია გადასცეს სხვა სასწავლო დაწესებულებებს. აღნიშნული კურსების დანერგვასთან დაკავშირებით დაინტერესება გამოითქვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახ-

ელობის უნივერსიტეტის და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მხრიდან.

„მენარმეობის კურსები თსუ-ში“ ერთერთი ყველაზე წარმატებული პროექტია“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუშუამ.

მენარმეობა არა მარტო ეკონომიკას, ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებსაც ეხება. რა თქმა უნდა, ყველა მენარმე ვერ გახდება, მაგრამ შენი საქმიანობა რომ წარმატებული გახადო, უნდა ფიქრობდე და აზროვნებდე ისე, როგორც კარგი მენარმე.

ლექცია თემაზე: „ქართული გვარ-სახელების ისტორია“

შურთისა გაროშვილი

ქართველებს გვჩვენებენ ჩვენი წარმომავლობით თუ ოჯახის მიხედვით თავის მონაცემებს, მაგრამ ყველამ არ იცის, ჩვენმა წინაპრებმა თავის დროზე რა მიზეზით აირჩია მანძილ-მანძილად ის გვარი, რომელიც ამჟამად პირადობის დამადასტურებელ საბუთში გვინერ-ის.

ქართული გვარ-სახელების ისტორია შორეულ წარსულში იწყება და მეცნიერები ამ სფეროში კვლევას დღესაც ინტენსიურად აგრძელებენ.

უნივერსიტეტის პროფესორი, ეთნოლოგი რონალდ თოფჩიშვილი სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილ „ნორჩთა სკოლის“ მოსწავლეებს.

რადგან ჯერჯერობით ქართულ საჯარო სკოლებში ეთნოლოგიის საგანი არ ისწავლება, პროფესორმა მოსწავლეებს განუმარტა, რას სწავლობს ეს მეცნიერება და რა კავშირშია მეცნიერების სხვადასხვა დარგთან. მისი განმარტებით, ეთნოლოგია სწავლობს ხალხ-

თა წარმოშობას, მათ განვითარებას და აგრეთვე ეთნიკურ კულტურას. მას ბევრი საერთო ასპექტი აქვს არა მარტო ისტორიასთან, ლინგვისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან, ასევე, არაპოპულარულ მეცნიერებებთანაც, მაგალითად: ბოტანიკასთან, ზოოლოგიასთან. ეთნოლოგები ხალხთა ხასიათს და ფსიქოლოგიასაც სწავლობენ.

ლექციის მოსმენის დროს მოსწავლეებს დაეხმება კითხვა: რა საერთო აქვს მემკვიდრეობით სახელს ეთნოლოგიასთან? როლანდ თოფჩიშვილმა მათ განუმარტა, რომ გვარის ისტორიის შესწავლა ეთნოლოგისა და ლინგვისტიკის გარეშე წარმოდგენილია.

პროფესორის თქმით, მემკვიდრეობითი სახელი ის, რომელიც თაობიდან თაობას სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა. ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილია დოკუმენტების ნაწილი და საისტორიო წყაროებმა დღემდე მოაღწიეს. თუმცა ჩვენი ავბედითი ისტორიის მანძილზე ბევრი საისტორიო წყარო განადგურდა და ჩვენამდე ვერ მოვიდა.

„მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი, როგორც ექსპედიციების, ისე კერძო მივ-


ლინებების დროს. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები ბევრი მიმართულებით იძლევა კვლევის საშუალებას. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორი იყო საქართველოში მიგრაციის პროცესი“, — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

მისი ინფორმაციით, მემკვიდრეობითი სახელი სხვადასხვა ხალხში ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში გაჩნდა. ქართველებს კი თავიდანვე, ეთნოსად ჩამოყალიბების დროიდანვე გააჩნდა გვარი, რაც საისტორიო წყაროებით დასტურდება. როლანდ თოფჩიშვილის თქმით, ქართველების ცხოვრებასა და ურთიერთობაში გვარი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამას ქართული სოციალური სისტემაც მოითხოვდა. მემკვიდრეობის გადაცემის ასეთი ფორმა ქართულ ფეოდალიზმს ახასიათებდა. გვარს კიდევ ერთი ფუნქცია ჰქონდა: საქორწინო ურთიერთობების მონესრიგება. ერთი წინაპრის შთამომავლები ერთმანეთზე დაქორწინება დაუშვებელი იყო. ჩვენგან განსხვავებით, მაშადადიანურ სამყაროში ეს საჭირო არ იყო, რადგან იქ ნათესავების ერთმანეთზე დაქორწინება დასაშვებია. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული რელიგია ნებას რთავდა ადამიანებს შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინებულყვენ ერთმანეთზე, ტრადიციისადმი პატივისცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი ამ კანონს მაინც არ არღვევდნენ.

„ანტიკურ სამყაროში გვარ-სახელები რომაელებს ჰქონდათ, ბერძნებს — არა. საისტორიო წყაროების მიხედვით ჩინელებს გვარ-სახელები ჯერ კიდევ ძველი ნელთადრიცხვით მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ჰქონდათ. ჩინეთში, დაახლოებით, ცხრაასი გვარია და ეს გვარები დღესაც განაგრძობენ არსებობას.

ევროპის ქვეყნებში გვარ-სახელები გვიან გაჩნდა. ინგლისში და საფრანგეთში მემკვიდრეობითი სახელები X-XI საუკუნიდან ჩნდება. მათ დღესაც შეუძლიათ არქივებიდან მოიძიონ თავიანთი გვარ-სახელების ისტორია ჩვენგან განსხვავებით. მათი არქივები არავის არ გადაუწვავს და დაუბრუნებია“, — განაცხადა როლანდ თოფჩიშვილმა.

მისი ინფორმაციით, ქართული გვარების უმეტესობას, დაახლოებით 95 პროცენტს, მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად, მ-



ოლოდ 5-6 პროცენტია ისეთი გვარი, რომლებიც ქალის სახელიდანაა მიღებული. მაგალითად: ნიკოლაურის, ბექაურის ფუძეები წარმოდგება მამაკაცის სახელების — ნიქას-გან და ბექასგან. ხშირად ჩვენი გვარების ფუძე წარმართული სახელია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად ძველია ქართული გვარი. გვარცვლელი ინფორმაცია, თითქოს გვარების: ფრანგიშვილის, სომხ-იშვილის, ბერძენიშვილის წინაპრები სხვა ეთნოსების წარმომადგენლები იყვნენ, მცადარია. კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი ტიპის გვარებსაც მამაკაცის სახელები უდევს საფუძვლად, კერძოდ ბერძენა, ფრანგა, ჩერქეზა საქართველოში გავრცელებული სახელები იყო. არსებობს ასევე გვარები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ხელობის, მათი საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები.

„ჩვენს მეცნიერებს ქართული გვარების კვლევის საქმეში დიდი ასპარეზი აქვს. ბევრი წიგნი გამოდოდა და დღესაც გამოდის, მაგრამ მათი უმეტესობა არაპროფესიონალების დაწერილია და სანდო არ არის. ამ პრობლემის კვლევა მომავალი თაობის საქმეა“, — უთხრა პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა მოსწავლეებს.



ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტის არსებობა სამოქალაქო საზოგადოებისთვის დიდი პასუხისმგებლობაა

პროექტის „ნაფიცო მსაჯული“ პრეზენტაცია

27 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა პროექტი — „ნაფიცო მსაჯული“ წარმოადგინეს.

მაია ტორაძე

პრეზენტაციაზე პროექტის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა: ირაკლი სამხარაძემ, ქეთევან ვარდოსანიძემ, არჩილ ცერცვაძემ, სალომე ქავთარაძემ, დიმიტრი გეგენავამ, ეკატერინე სირაძემ და თორნიკე რევიშვილმა ისაუბრეს ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, პროექტის მიზნებსა და ეტაპებზე.

მათი განმარტებით, ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტი მსოფლიოს 25 ქვეყანაში მუშაობს. მისი დაკანონება საქართველოში ხელს შეუწყ-

ობს სამართლიანობის დამკვიდრებას, რადგან იგი მართლმსაჯულების განხორციელების უნივერსალური საშუალებაა.

პროექტის მიხედვით განსაზღვრულია მონაწილეთა შერჩევა, ცნობილ ექსპერტებთან ტრენინგები, იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვა და საჯარო დებატების მოწყობა. დაგეგმილია აგრეთვე მ გვერდის სინფორმაციო ბროშურის გამოცემა, რომელიც ასხილი იქნება, რა არის ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტი, რა თავისებურებები ახასიათებს მას და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მართლმსაჯულებსთვის. პროექტი გაგრძელდება ერთი თვე.

პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კულაშვილი, რომელიც მსაჯულის ინსტიტუტის ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტი

რადიკალური სიახლეა სისხლის სამართლის სისტემაში და სტუდენტთა აქტიურობა ამ მიმართებით მისასალმებელია. მომავალი წლიდან ეს მეთოდი საქართველოშიც დაინერგება, ამიტომ საჭიროა საზოგადოებამ მეტი იცოდეს მართლმსაჯულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

„რამდენიმე ხნის წინ ჩატარდა კვლევა — რა იცის მოსახლეობამ ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტის თაობაზე. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 65 პროცენტს ფილმებიდან ან სხვადასხვა ლიტერატურიდან ჰქონდა ინფორმაცია, 80-მა პროცენტმა არ იცოდა, რომ ეს სისტემა საქართველოში მომავალი წლიდან იწერება. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას აღნიშნული ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ

ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტის არსებობა სამოქალაქო საზოგადოებისთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ადვილია მოსამართლე აკრიტიკო, მაგრამ რთულია, თავად მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება. მოზარული ვარ, რომ ეს პროექტი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა. უზენაესი სასამართლო მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს და პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის სამუშაოდ ერთ დარბაზს გამოუყოფს“, — განაცხადა კოტე კულაშვილმა.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დავით კერესელიძემ სტუდენტთა ინიციატივას მნიშვნელოვანი უწოდა და უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტ-

ის შესახებ ღია და საჯარო დებატების გამართვა ამ ეტაპზე უაღრესად საჭიროა. ეს პროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს და მნიშვნელოვანია, რომ მას საზოგადოების ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი განახორციელებს, როგორც სტუდენტობა“, — განაცხადა დავით კერესელიძემ.

სტუდენტებს მხარდაჭერა აღუთქვს აგრეთვე ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა მამუკა მამაცაშვილმა და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა მერაბ ტურავამ.

პრეზენტაციამ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა დაინტერესება გამოიწვია. მათ ლონისძიების დასრულებისთანავე დაურიგდათ სპეციალური კითხვარი, რომლის შევსების შემდეგაც პროექტის მონაწილეები შეირჩევა.



მათე მირიანაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა გაიმართა

მათე მირიანაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრმა, პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა მან გაიხსენა მათე მირიანაშვილი, როგორც მეცნიერი, პიროვნება და პედაგოგი. აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის, როგორც მეცნიერების განვითარება, სწორედ მათე მირიანაშვილის სახელს უკავშირდება. ამ დამსახურებისთვის მისი სახელი მიენიჭა თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიას, სადაც აკადემიკოსი წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა.

სხდომა გახსნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრმა, პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა. მან გაიხსენა მათე მირიანაშვილი, როგორც მეცნიერი, პიროვნება და პედაგოგი. აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის, როგორც მეცნიერების განვითარება, სწორედ მათე მირიანაშვილის სახელს უკავშირდება. ამ დამსახურებისთვის მისი სახელი მიენიჭა თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიას, სადაც აკადემიკოსი წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა.

მანია ტორაძე

გამომსვლელები, რომელთა შორის მათე მირიანაშვილის მოსწავლეები სჭარბობდნენ, იხსენებდნენ პედაგოგს, რომლის თავდადებას მრავალ მათემატიკურ ფიზიკის, როგორც მეცნიერებისადმი ინტერესს. მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი პარმენ მარგველაშვილი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელი რაფიელ ჩიქოვანი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი თორნიკე ეფრემიძე, აკადემიკოსები: თენგიზ ხანაძე და ჯუმბერ ლომინაძე, პროფესორები: გიორგი გამცემლიძე, ოლეგ ნამიჩიშვილი, ჯონი ჩქარეული, ალექსანდრე კვინიძე და სხვები.

ანზორ ხელაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი:

— ქართველ ფიზიკოსთა მოძღვარი, აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი მეცნიერთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც წილად ხვდა მეტად მძიმე ტვირთი — საქართველოში ფიზიკის მეცნიერების განვითარება. ის ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი იყო, როცა გვერდით ამოუდგა ფიზიკის კათედრის თანამშრომლებს და ცნობილ მეცნიერს ელექტროტექნიკის დარგში პროფესორ ალექსანდრე დიდებულს. მათე მირიანაშვილი მუშაობდა ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიების შექმნაზე, ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაზე, ეცნობოდა თეორიული ფიზიკის საფუძვლებს დოცენტ ნიკოლოზ აკინფიევის ხელმძღვანელობით.



1930 წელს, უნივერსიტეტის წარმატებით დათავრების შემდეგ, მათე მირიანაშვილი დაინიშნა ფიზიკის კათედრის ასისტენტად. სწორედ ამ წელს დაარსდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა სპეციალისტების მომზადებას ფიზიკის დარგში და დაისვა საკითხი ფიზიკის კათედრაზე მეცნიერული მუშაობის გაშლის შესახებ. ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი ფიზიკოსები, მათ შორის მათე მირიანაშვილი, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საბჭოთა კავშირის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში მიაგლინეს. 1931 წლის სექტემბერში მათე მირიანაშვილი გაემგზავრა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, რომელიც იმ დროს ფიზიკის ერთერთი ძირითადი ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ ატომის ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკის სფეროს ცნობილი მეცნიერები. ამ ცენტრის ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი უცხოელი და საბჭოთა ფიზიკოსები. სწორედ ასეთ ძლიერ და ნიჭიერ კოლექტივში ჩამოყალიბდა პროფესორი მათე მირიანაშვილი, როგორც მეცნიერი და პედაგოგი.

1933 წელს მ. მირიანაშვილი დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგედ.

მისი საქართველოში დაბრუნებით იწყება ფიზიკის სწავლების აღმავლის პროცესი. მან პირველივე წლებში მოაზოვა დიდი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი დიდი ერუდიციით, პირადი ადამიანური თვისებებით და პედაგოგიური ნიჭით აიხსნება.

თვალსაჩინო ქართველი ფიზიკოსი აკადემიკოსი ელფთერ ანდრონიკაშვილი თავის 60 წლის იუბილეზე აღნიშნავდა, რომ მან ფიზიკა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მათე მირიანაშვილისგან ისწავლა. ნუ დაგვაინყდება, რომ ბატონი ელფთერი საქართველოში დაბრუნდა როგორც ავტორი სახელგანთქმული ექსპერიმენტებისა და ბაზილი ტემპერატურების ფიზიკაში.

ფასდაუდებელია მათე მირიანაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. ვინც იცნობს გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსის პედაგოგიურ საქმიანობას, კარგად ახსოვს, თუ რამდენად მარტივი, ლოგიკური, ნათელი და განუმეორებელი იყო მისი ლექციის, თხრობის, საუბრის სტილი. აუდიტორიისა თუ ცალკეული მოსაუბრის სწრაფი და უტყუარი შეცნობის ალღო მას ცოდნის გადაცემას უადვილებდა. ლექციის კითხვისას ის გაუზრდავდა სიტყვებს, რომლებსაც მხოლოდ ემოციური კაზმულობის ფუნქცია გააჩნდა. ბატონი მათე მასალის ახსნის პროცესში სიტყვასა და გრაფიკულ სიმბოლოს ყოველთვის საჭირო ნიუანსის გამოსახატად იყენებდა.

უდიდესია მათე მირიანაშვილის, როგორც მეცნიერის დამსახურება ფიზიკის ქართული სკოლის წინაშე. მისი მდიდარი სამეცნიერო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია გამოკვლევები თეორიული ფიზიკის ისეთ აქტუალურ დარგში, როგორიცაა ველების კვანტური თეორია. 1951-55 წლებში მათე მირიანაშვილი მოღვაწეობდა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც იგი ველების კვანტური თეორიის სემინარის ერთერთი წამყვანი ფიგურა იყო (პროფესორ დ. ივანენკოსთან ერთად). ის აქ ველების კვანტური თეორიის იმდროინდელ უკანასკნელ მიღწევებს ხილდნისეულად დაუფლდა და შექმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ველის არანრფივ თეორიაში. მან დაადგინა კავშირი ველების არანრფივ გან-

ტოლებსა და ვაკუუმის პოლარიზაციის ეფექტებს შორის. სიცოცხლის ბოლო პერიოდში აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი გრავიტაციისა და კოსმოლოგიის სფეროში მოღვაწეობდა. მის ნაშრომებს და მაღალ მეცნიერულ ავტორიტეტს უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ თბილისში გაიმართა რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო გრავიტაციული კონფერენცია.

მათე მირიანაშვილის მეცნიერული ერუდიციის დიდ ნაყოფს წარმოადგენს მისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოები მექანიკასა და მოლეკულურ ფიზიკაში. ამ სახელმძღვანელოებმა განსაზღვრა ზოგადი ფიზიკის სწავლების მაღალი დონე ჩვენს უნივერსიტეტში. ამ შესანიშნავ ორტომეულზე აღიზარდა და კიდევ აღიზრდება ფიზიკოსთა არაერთი თაობა. მათე მირიანაშვილმა ზოგადი ფიზიკის, როგორც ფუნდამენტური ფიზიკის, გააზრებით თანამედროვეებს გაუხსნო, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაჩნდა ზოგადი ფიზიკის სახელმძღვანელოები ისეთი ინტერპრეტაციით, როგორც მათე მირიანაშვილს გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ჰქონდა.

დიდი ერუდიცია და ფიზიკის ღრმა ცოდნა ბატონ მათე მირიანაშვილს უფლებას აძლევდა ემუშავა თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირის პრობლემებზე. იგი იყო ერთერთი წამყვანი მეცნიერი ფიზიკოსთა შორის, რომელიც ადგილს უთმობდა ფილოსოფიისა და ფიზიკის მომიჯნავე და საკვანძო საკითხების კვლევას. ამიტომაც, რომ მათე მირიანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობასთან მჭიდროდა დაკავშირებული არა მარტო ფიზიკის მეცნიერების განვითარება საქართველოში, არამედ სწორი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ბუნებისმეტყველების ერთერთი წამყვანი და ერთადერთი მაინტეგრირებელი დარგის შესახებ.

ძნელია ქართველ ფიზიკოსთა შორის მოიძებნოს ადამიანი, რომელიც მათე მირიანაშვილს თავის მასწავლებლად არ მიიჩნევდა.

აკადემიკოს მათე მირიანაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაგრძელდება 2 მაისს. ამ დღეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილია სამეცნიერო კონფერენციის მონყოლა და სოფელ დერწში მათე მირიანაშვილის სახლ-მუზეუმის დათვალიერება.

პრეზენტაცია

როგორ არ უნდა გაუქმდეს მედიაში ბავშვთა პრობლემები

მათე მირიანაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სახელმძღვანელოს — „ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში“ — პრეზენტაცია. სახელმძღვანელო მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თანამშრომლობის შედეგად. იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების, პედაგოგებისა და მედიის პრობლემატიკით დაინტერესებულთათვის.

მანია ტორაძე

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას ისე, რომ დაცული იყოს როგორც ჟურნალისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული სტანდარტები და ეთიკური ნორმები, ასევე ბავშვთა უფლებები.

სახელმძღვანელო გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. იგი ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბრიტანული მედიაეთიკის ორგანიზაცია „მედია უაიზის“

სახელმძღვანელოს ჟურნალისტიკისათვის — „მასმედია და ბავშვთა უფლებები“.

პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახელმძღვანელოს შედგენაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს: ირინა ღვინერიას, ნინო ჭალაგანიძეს და დალი ოსეფაშვილს, ასევე კავკასიის მედიამენეჯმენტისა და ჟურნალისტიკის სკოლის პედაგოგს თინათინ ცომიაის და გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელს მანია

ქურციკიძეს. სწორედ ამ ჯგუფმა შეადგინა სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტი, რომელიც მოიცავს ტრადიციულ ოფიციალურ ლექციების კურსს, „საშინაო დაავადების“ ტიპის სავარჯიშოებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და ისეთი სახის სემინარებს, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებსა და მასწავლებლებს — ერთმანეთს დაუკავშირონ თეორია და პრაქტიკა. სასწავლო პროგრამას საფუძვლად უდევს „სწავლა მოქმედების გზით“ და ითვალისწინებს სიუჟეტის მომზადების, მასალების მოკვლევის, როლების გათამაშების, სხვადასხვა თამაშისა და მედიანალიზის პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართვას.

აღნიშნული წიგნით იხელმძღვანელებენ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების და კავკასიის მედია მენეჯმენტისა და ჟურნალისტიკის სკოლის სასწავლო პროგრამები.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ჯოვანა ბარბერისმა პრეზენტაციაზე მაღლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიის მედია მენეჯმენტისა და ჟურნალისტიკის სკოლას. „ბავშვთა საკითხების გაშუქება ჟურნალისტიკისაგან სათანადო ცოდნასა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას მოითხოვს. ნებისმიერმა სიტყვამ თუ ფრაზამ, შესაძლოა, მთლიანად განსაზღვროს ბავშვის შემდგომი ცხოვრება და ამიტომაც ბავშვებზე საუბრისას უდიდესი სიფრთხილე და პროფესიონალიზმი საჭიროა. იმედია, აღნიშნული კურსი ხელს შეუწყობს ჟურნალისტიკის ისეთი თაობის აღზრდას, რომელთაც გააზრებული ექნებათ ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა“, — განაცხადა მან.

ღაპით პანიჭაძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი:



— სახელმძღვანელოში მოცემული ღირებული მასალა ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ განკუთვნილია არა მარტო პროფესიონალი ან დამწყები ჟურნალისტიკისთვის, არამედ პედაგოგებისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც ბავშვთა საკითხებითა და ინტერესებით უნდა იკავდებოდეს. სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, რეკომენდაციები პედაგოგებისთვის და კონკრეტული მაგალითების კრებული, რომელსაც „კრიტიკულ ქრესტომათიას“ დავარქმევდი. წიგნის გაცნობის შემდეგ გავიგებთ, როგორ არ უნდა გაშუქდეს მედიაში ბავშვთა პრობლემები. მასში არ არის კრიტიკული აქცენტები და შეფასებები, მოცემულია მხოლოდ კონკრეტული ტექსტი და კითხვარი, რომლის პასუხებიც მკითხველმა უნდა იპოვოს და დასკვნაც თავად გამოიტანოს.



მკითხველის ბიბლიოთეკას ორი ნიგნი შეემატა

„ნიგნი არის თავი და ბოლო ყოველგვარი ცოდნისა, სანყისთა სანყისი ყოველგვარი მეცნიერებისა“ — ბრძანებდა მწერალი შტეფან ცვაიცი. ნიგნმა გარდაქმნა სამყარო, მასში თავმოყრილია ადამიანთა მოდგმის მესხიერება. რა იქნებოდა სამყარო ნიგნის გარეშე? — ველურთა სამყარო და მეტი არაფერი. აი, რა ძალა გააჩნია მწერლის ნააზრევით დატირთულ ფარატინა ქალაქების შეკვრას, რომელიც „აზრის ხომალდებია. ისინი დროის ტალღებს მოაპობენ და რუდუნებით მიაქვთ თავისი ძვირფასი ტვირთი ერთი თაობიდან მეორესთან“ (ფ. ბეკონი). ამიტომაც ყველაზე უკეთესი ნიგნი ისაა, რომელშიც ყველაზე მეტი სიმართლეა.

თამარ მარუაშვილი

ქართველი მკითხველი დღეს განებობრებულია კომერციული ლიტერატურის ფართო არჩევანით, ხოლო რაც შეეხება ისტორიულ, პოლიტიკურ თემებზე გამოცემულ ნიგნებს, ისინი არც თუ ისე ბევრია და ამიტომაც აუცილებელია მათი პოპულარიზაცია და მკითხველის ამ გამოცემებით დაინტერესება. ასეთი ნიგნები ხომ საზოგადოებისათვის უმწვეველ საკითხებს, მნიშვნელოვან ისტორიულ თუ პოლიტიკურ მოვლენებს ეხება. სწორედ ასეთი შინაარსის ორი ნიგნი შეემატა დღეს მკითხველის ბიბლიოთეკას: ნიკო ჯავახიშვილის „გრიგოლ I — უკანასკნელი ქართველი მეფე“ და ერთ ნიგნად გამოცემული ორი ავტორის ნაშრომები: ლელა იაკობიშვილის — „წერილები ქართულ იდენტობაზე“ და ზაზა ფირალიშვილის — „ქართული პოლიტიკის თეატრალური დი-ალექტიკა“.


ბრიგოლ I — უკანასკნელი ქართველი მეფე



თერთი ღირსეული ნარმომადგენელი, ქართლ-კახეთის სახელმწიფო მეფის — ერეკლე II შვილთაშვილი, იოანე ბატონიშვილის ვაჟი — გრიგოლ I (1789-1830). იგი თავდაუზოგავად იბრძოდა კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს აღდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფედ მიჩნეული იყო გიორგი XII (1746-1800), რომელიც 1800 წლის 28 დეკემბერს 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე — უფლისწული დავითი (1767-1819) 1801 წლის ივნისამდე ქართლ-კახეთს განაგებდა, მაგრამ არა მეფის, არამედ გამგებლის რანგში.

ანუ როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს: „ჩვენს მიერ მოციებული საისტორიო წყაროები და ლიტერატურა საფუძველს გვაძლევს დავასტყვოთ, რომ უკანასკნელი ქართველი მეფე იყო ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის ნარმომადგენელი — გრიგოლ I, რომელიც 1812 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში მეფობდა, ხოლო



სამშობლოს აღდგენა-გამოხსნისთვის თავდადებით მებრძოლი ბაგრატიონი მონარქი ამას უდავოდ იმსახურებს. საბჭოთა პერიოდში არსებული მკაცრი იდეოლოგიური წნეხის პირობებში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა მაინც ვერ შეძლეს, რომ გრიგოლ იოანის ძე დაეფიქსირებინათ როგორც უკანასკნელი ქართველი მეფე — გრიგოლ I და ამ სახით ის ბაგრატიონთა ხელმწიფეთა საერთო ნუსხაში შეეყვანათ. უფრო მეტიც, საბჭოთა ცენზურა მათ ავალდებულებდა, რომ გრიგოლის ტიტული — მეფე, როგორც თითქოსდა თვითმარქვისი — ბრჭყალებში მოექციათ“ — ნერს ავტორი, ხოლო რა დამადასტურებელი ფაქტები გააჩნია ამის სათქმელად, ნიგნის გაცნობის დროს შეიტყობთ.

ნიკო ჯავახიშვილის ნაშრომი ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიულ თემებზე მომუშავე მეცნიერთათვის, არამედ ყველა იმ ქართველი პატრიოტისთვისაც, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული მისი ფესვებიდან — ისტორიიდან იწყება.

ავტორი არა მარტო ისტორიული ცნობების მოძიებით კმაყოფილდება, არამედ ის ამ ნაშრომით ქართველი საზოგადოების წინაშე გამოდის ფრიად მნიშვნელოვანი ინიციატივით, რომ საზოგადოებამ ამიერიდან გრიგოლ ბატონიშვილი გრიგოლ I სახელით მოიხსენიოს და რომ მან ბაგრატიონთა ხელმწიფეთა ნუსხაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს, როგორც 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს აღდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის თავგამოდებით მებრძოლმა ქართველმა მეფემ.

ქართული ელიტის „ელიტადა“ ქცევაში შემოქმედებითი ღირსი გამოცალა კულტურას

კავკასიის საზოგადოებრივ სტრატეგიათა ინსტიტუტისა და მერაბ მამარდაშვილის სახელობის ქართული კლუბის თაოსნობით გამოიცა ნიგნი, რომელშიც შესულია ორი ავტორის: ლელა იაკობიშვილისა და ზაზა ფირალიშვილის წერილები, რომელიც ნარმომადგენს „ორი ავტორის მცდელობას, ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცი წლის ისტორია კულტურული ბედის თვალსაზრისით იქნას გაგებულ. ეს წერილები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოქვეყნებული და მათი ცენტრალური თემაა ჩვენი საზოგადოებისათვის უმწვეველი საკითხი: უახლესი ქართული იდენტობა“, — ვკითხულობთ ანოტაციაში.

ლელა იაკობიშვილის წერილებში ქართული იდენტობაზე თავმოყრილია რამდენიმე საინტერესო ესეი, რომელიც საქართველოში ელიტათა კონფლიქტს, ეთნიკურ მობილიზაციას, ქართული უნივერსიტეტის ბედს, ქართულ იდენტობასა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ეხება.

პოლიტიკური პერფორმანსი და პერფორმატიული პოლიტიკა, ქრისტიანობა და ინფორმაცია, დროშა, ფერი და ქართული სახელმწიფოებრიობა — ეს ის საკითხებია, რომელსაც ავტორი ინდივიდუალური ხედვითა და არატრადიციული მეთოდებით უღრმავდება და მკითხველისთვის ახალ თვალსაწიერს შლის. თუ რა პერსპექტივები აქვს საქართველოს კონსერვირებულ

კულტურას მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ვითარების ფონზე — ამ ამოცანის სირთულეს ავტორი გულწრფელად და საინტერესოდ განიხილავს სამ ძირითად პარადიგმაში: კულტურის კლასიკური პროტომდგომარეობა, კულტურის დინამიკა და მისი ისტორიული ქრონოტიპი, პოსტკულტურული ვითარება და კულტურის ადაპტაციის მექანიზმები.

საქართველოს მოსახლეობის ყოფის ერთიანი ფორმები; ქართული პოლირელიგიური და პოლიეთნიკური განზომილებანი და მისი ერთიანი ღირებულებითი სისტემა; საქართველოს მო-



სახლეობის ერთიანი ესთეტიკური სტრუქტურა; საქართველოს მოსახლეობის ერთიანი ეთიკურ-ღირებულებითი სტრუქტურა; პოსტისტორიული და პოსტკულტურული ეპოქა და ქართველი ხალხის ადაპტაციის პრობლემა — ეს ის საკითხებია, რომელსაც ავტორი ნიგნში სისტემურად მოაზრებს და ამ ფონზე, შეძლებისდაგვარად, პოსტისტორიული ეპოქის საქართველოს კულტურის პერსპექტივებს მონიშნავს.

მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია თანამედროვე ისტორიით, იმ საკითხებით, რომელიც ეხება ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესებში კულტურის განვითარებას, რომელიც საქართველოსათვის მართლაც პრობლემურია — ეს ნიგნი საუკეთესო მეგზურობას გაუწევს...

„უმთავრესი, რაც ამ სირთულეს განაპირობებს არის ის, რომ ქართული ელიტის „ელიტადა“ ქცევამ რაღაც დროით შემოქმედებითი ღირსი გამოცალა კულტურას. მოხდა ინტელიგენციის მარგინალიზაცია. ეს სრულიად შეუქცევადი პროცესია იმის გამო, რომ ელიტები თავად ახდენენ მონოლითური ერთიანი კულტურული რეჟიმის რღვევას და პასუხისმგებლნი ხდებიან დეკონსტრუირებული სივრცის კონკრეტულ უბანზე“, — აღნიშნავს ავტორი და საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს დამაჯერებლობითა და საკითხების სიღრმისეული წვდომის შესანიშნავი უნარით გადმოსცემს. მკითხველი ამ წერილების გაცნობისას მოვლენებს აუცილებლად სხვა თვალთ შეხედავს...

მუცლითმეზღაპრეობა და იდეოლოგიური მუქთამჭამელობა ბავშვების ჩვენთაგანისათვის გუნებრივ მდგომარეობად იქცა

ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა; ილია —

ისტორიული კონტექსტი და პიროვნება; მერაბ მამარდაშვილი — ნაციონალიზმი და განათლება; — ეს ის ესსეებია, რომელიც თსუ-ის პროფესორმა ზაზა ფირალიშვილმა მკითხველის სამსჯავროზე წარმოადგინა.

„თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო ოცი წლის ისტორიას, ძნელია არ დავრწმუნდეთ, ისტორიული იდეათა როგორი დეფიციტის პირობებში გვიწევს არსებობა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენება. ეს ძირეული საქმე თითქოს რაღაც ისტორიული მომენტიდან ვიღაც სხვას გადავბარეთ და ფუნდამენტურ იდეათა მხოლოდ იმპორტირებასა ვვყრდებით. ბოლო ორმა საუკუნემ თითქმის მთლიანად ჩამოგვამორა ისტორიულ რეალობას და სადღაც სხვაგან, სხვა პლანეტაზე განვაგრძეთ არსებობა, სადაც ყველაზე ფანტასტიკური, ზოგჯერ — ფანტასმაგორიული იდეებიც კი გამართლებული და ნაყოფიერი ჩანს. მუცლითმეზღაპრეობა და იდეოლოგიური მუქთამჭამელობა ბევრი ჩვენთაგანისათვის ბუნებრივ მდგომარეობად იქცა. თუმცა ისიც ცხადია, რომ ასეთივე ბუნებრივ მდგომარეობად იქცა ტკივილი ამის გამო და გამოსავლის ძიება. უსახური ისტორიული და ყოფითი პრაგმატიზმი, სრულიად უგვანი მისტიციკაციებისკენ მიდრეკილება იმ ორ უკიდურესობად ჩამოყალიბდა, რომელთა შორისაც ვერა და ვერ მოვძებნეთ სამეფო გზა. ბოლო ორი ათწლეული კი, ალბათ, ამის საუკეთესო დემონსტრირებაა“, — აღნიშნავს ავტორი.

მას ნარკვევში კარგად აქვს გააზრებული ბოლო ოცწლეულის ისტორია, ქართველი კაცის ისტორიული რაობა, რომელიც იოლად არ ეგუება ხელოვნურ კონსტრუირებას. თუ გინდათ თვალი გაადევნოთ, როგორ ყალიბდებოდა ფსიქოკულტურული ჰარმონია, შემდეგ კი დისონანსი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, გაცნობით ამ ნიგნს და იქიპოვით პასუხს უამრავ კითხვაზე. ავტორი აღწერს ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოში გათვალისწინებულ მკვლევარებს სამი სოც-კულტურული ფაზის სახით, ხოლო რაც შეეხება თეატრალურ ანალოგიებს, ეს მხოლოდ ტექნიკური ხერხია.

მკითხველს ძალიან საინტერესო ექსკურსი ელოდება საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო ოცი წლის ისტორიაში. ავტორი შთამბეჭდავად საუბრობს, აგრეთვე, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამივე პრეზიდენტის მოღვაწეობის შუქ-ჩრდილებზე, განათლების სისტემის რეფორმის შედეგების ნეგატიურ მხარეზე... „კულტურული იდენტობის უზრუნველყოფა ყოველგვარი განათლების სისტემის ერთერთი აუცილებელი, ფუნდამენტური მიზანი უნდა იყოს. განათლების რეფორმამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იმ ენაზე იმეცყველოს, როგორც საკუთარი კულტურის შვილად და არა როგორც ანონიმურმა და უსაფუძვლო არსებამ“, — აღნიშნავს ავტორი.

თუ ქართველ მკითხველს სურს უახლესი ისტორიის ღრმად გაანალიზებული და ობიექტურად შეფასებული პროცესები იხილოს, ვურჩევთ ლელა იაკობიშვილისა და ზაზა ფირალიშვილის ავტორობით გამოცემული ნიგნი შეიძინოს, რომლის რედაქტორიც სესილი ძებნიაურია.

ცნობილი ამერიკელი ენციკლოპედისტი და სოციოლოგი... ცნობილი ამერიკელი ენციკლოპედისტი და სოციოლოგი...



პირველი ქუჩის შუქნიშანი ლონდონში 1868 წელს გამოჩნდა. იგი ინგლისელმა ინჟინერმა ნაიტმა გამოიგონა...




ინდოეთის პატარა სოფლის ტაინანის მცხოვრებლები მოულოდნელი ბუნებრივი კატაკლიზმის მომსწრენი გახდნენ...

შვედეთის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოლაპარაკე ქალაქი გამოიგონეს. მათ შექმნეს ციფრული აფიშა...

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური დათბობა ყინულებს ადნობს, იტალიური ალპების უამრავი ყინული მწვერვალი უფრო და უფრო იზრდება...



მ ს ო ფ - ლ ი ო აბლაბუდის wordle-ს შემქმნელმა ტიმ ბერნს-ლიმ ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა...



ბრიტანეთის მოსახლეობამ გაერთიანებული სამეფოს ყველაზე გონებაბაზილი ადამიანად ირლანდიელი მწერალი, დრამატურგი და პოეტი...

ჰონკონგში მეცნიერებმა ფრინველის გრიპის ვაქცინა ცხოველებზე გამოცდადეს. ვაქცინას, შემდეგ ეტაპზე, ადამიანის ორგანიზმზე გამოცდაც...



„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ – ეს ხალისიანი დღესასწაული, როცა ნაცნობ-მეგობრებს ხუმრობით აბრეყებენ...



პროგრესის სწრაფი განვითარების ფონზე აღსანიშნავია, რომ ავტოკალმები პრაქტიკულად არ შეცვლილა. კომპანის მშენებლის ტექნოლოგიებმა...

მთვარის შესწავლის საერთაშორისო მუშა ჯგუფის თანამშრომლები (ILEWG) აპოკალიპსისთვის ემზადებიან და მთვარეზე „კიდობანს“ აშენებენ...



იაპონელი მკვლევარები კლონირების ახალ მეთოდზე მუშაობენ. გენური ტექნოლოგია, რომელსაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იყენებდნენ...

Table with 2 columns: Position (e.g., მთავარი რედაქტორი) and Name (e.g., ნინო კაკულია). Includes contact information like phone number and website.